1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიეცა რეკომენდაცია შეიმუშავოს ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი, რომელშიც აღწერილი იქნება სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მიდგომები და სამუშაო პროცესები. ასევე, განისაზღვროს სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნიკაციას სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და მათ წვდომას ყველა საჭირო ინფორმაციაზე, შეხვედრების ადმინისტრირებასა და სხვა საქმიანობის მხარდაჭერას. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით, განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებაზე, ამ პროცესში სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვასა და ინფორმაციის გაზიარებაზე.

**სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 1.2.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, შესაბამისად ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“.**

2. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, თუმცა ის არ მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს. მასში მოცემულია მხოლოდ განსახორციელებელი აქტივობები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024 . შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლის შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაიწეროს მისიასთან თავსებადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები.**
3. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, თუმცა ვინაიდან შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა არ მოიცავს მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს, შესაბამისად, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ვერ იქნება შემუშავებული სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით.**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ სამოქმედო გეგმა შეიმუშაოს სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით.**
4. სკოლას აქვს დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, თუმცა მასში წარმოდგენილია მხოლოდ სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. არ არის შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები,ასევე შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2. სამოქმედო გეგმა.

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილ სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. შესაბამისად ვერ დგინდება როგორ და რა მექანიზმებით აპირებს სკოლა მონიტორინგს და შეფასებას, რა პერიოდულობით და ვის მიერ მოხდება მონიტორინგის განხორციელება, როგორ მოხდება შედეგების გათვალისწინება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. **1.2.2.1. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 1.2.2.1. ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემას შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,, შეესაბამება“.**
2. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 1.2.2(2) ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული;**
3. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 1.2.2(3) ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული;**
4. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 1.2.2(4) ინდიკატორი ვერ იქნება შეფასებული;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ დარგში, დირექტორის მოადგილე-სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი, ფინანსური მენეჯერი, ხარისხის მართვის კოორდინატორი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ექიმი, ბიბლიოთეკარი, დამლაგებელი,დარაჯი და ელექტრიკოსი, აღნიშნული პირების ფუნქციები გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციებში, გარდა დირექტორის და სკოლის ექიმისა, ექიმის ნაცვლად სკოლას დამტკიცებული აქვს ექთნის თანამდებობრივი ინსტრუქცია. ინსტრუქციებზე არის წარწერა, რომ დამტკიცებულია გიმნაზიის დირექტორის ბრძანებით, თუმცა სკოლამ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი ვერ წარმოადგინა.

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა გრაფიკული სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს პედაგოგიური საბჭო და საგნობრივი კათედრები, თუმცა ზემოთ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები არ არის განსაზღვრული. გაურკვეველია პედაგოგიური საბჭოს ფუნქცია და უფლებამოსილება. სკოლის მიერ წარმოდგენილი პედაგოგიური საბჭოს ოქმით დამტკიცებულია სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, მაშინ როდესაც აღნიშნულ დოკუმენტზე ვკითხულობთ, რომ დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. ასევე არცერთ დასაქმებულ პირთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება,შესაბამისად ეს პირები არ იმყოფებიან დაწესებულებასთან შრომით ურთიერთობაში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები მკაფიოდ განისაზღვროს. ყველა დასაქმებულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება, ასევე განისაზღვროს პედაგოგიური საბჭოს უფლებამოსილება და დირექტორის ფუნქციები.**

2. სკოლამ წარმოადგინა ,,ხარისხის მართვის სამსახური“-ს დოკუმენტი, რომლის თანახმად გიმნაზიის ხარისხის მართვის სამსახური არის სტრუქტურული ერთეული. გაწერილია სამსახურის ამოცანები და ფუნქციები, ასევე წარმოდგენილია სამოქმედო გეგმაც, თუმცა არ არის განსაზღვრული ვისგან არის დაკომპლექტებული აღნიშნული სამსახური და ვინ ახორციელებს სამოქმედო გეგმით განსახორციელებელ სამუშაოს. აგრეთვე ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში კოლეგიური სტრუქტურულმა ერთეულებმა ვერ წარმოადგინეს სამუშაო გეგმები, რომლის შესაბამისადაც სამომავლოდ განახორციელებენ საქმიანობას.აგრეთვე რადგან არცერთ დასაქმებულ პირთან არ არის ხელშეკრულება გაფორმებული ეს პირები არ იმყოფებიან დაწესებულებასთან შრომით ურთიერთობაში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.1.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილდეს იმგვარად, რომ ხელს უწყობდეს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. კერძოდ, განისაზღვროს, ვისგან არის დაკომპლექტებული ხარისხის სამსახური და ვინ ახორციელებს სამოქმედო გეგმით განსახორციელებელ სამუშაოს. აგრეთვე სტრუქტურულმა ერთეულებმა შეიმუშაოს სამუშაო გეგმები.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ხარისხის მართვის სამსახურის დოკუმენტი
2. თანამდებობრივი ინსტრუქციები;
3. სტრუქტურა;

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის დირექციის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა სამომავლოდ განხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია პერსონალის მართვის ციკლი. კერძოდ, როგორ რეგულირდება კადრების მოზიდვა და შერჩევა, ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, შესრულებული სამუშაოს შეფასება, თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება, თანამშრომელთა მოტივაციისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია მასწავლებლის კონკურსის წესით შერჩევის პროცედურა. ხოლო გიმნაზიის შინაგანაწესის მე-6 მუხლით განსაზღვრულია,რომ პედაგოგები სამუშაოზე მიიღებიან კონკურსის წესით ან დირექტორის გადაწყვეტილებით. აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება სკოლის მიერ დამტკიცებულ პერსონალის მართვის პოლიტიკას და მოქმედ კანონმდებლობას. სკოლასთან

გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება განხორციელდა კონკურსის ჩატარების გარეშე, რითაც დაირღვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი''-ით გათვალისწინებული მოთხოვნები.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. შინაგანაწესის დებულებები საჭიროებს შრომის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანას, რადგან შინაგანაწესში არ არის გათვალისწინებული შრომის კოდექსში ბოლოს განხორციელებული ცვლილებები, ასევე არ შეიცავს დისკრიმინაციის ამკრძალავ დებულებებს. შინაგანაწესის მე-5 მუხლი ითვალისწინებს ხელშეკრულების გაფორმებამდე კანდიდატის მიერ წარმოსადგენ აუცილებელ დოკუმენტაციას, რომელშიც არ არის გათვალისწინებული სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენის ვალდებულება.

**სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.1.2.1. ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,, შეესაბამება".**

2.სკოლის წარმომდგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლების მიღება განხორციელდა კონკურსის ჩატარების გარეშე, რითაც დაირღვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი''-თ გათვალისწინებული მოთხოვნები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.2 ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება".მასწავლებლების მიღება განხორციელდეს კონკურსის ჩატარების გზით , საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი''-თ გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.**

3.მასწავლებლის თანამდებობრივი ინსტრუქციით დადგენილია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც

მოიცავს მხოლოდ მასწავლებლის განათლებას. ასევე ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს, რომ მასწავლებელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გიმნაზიის დირექტორი, რაც წინააღმდეგობაში მოდის ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნებთან. როგორც ზემოთ აღნიშნულია, **სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად დაწესებულებას კონკურსი გამოცხადებული არ ჰქონდა, რითაც დარღვეულია პოზიციის შესაბამისი კადრების დასაქმების ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპი.** რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, შინაგანაწესის მე-7 მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, მათი შერჩევა შესაძლებელია, როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით.

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის პერსონალის პირად საქმეებს დაკავებული პოზიციების მიხედვით. შედეგად დადგინდა, რომ თანამშრომლების პირად საქმეში განთავსებულია მხოლოდ ნასამართლეობის შესახებ ცნობები, ხოლო რაც შეეხება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის ცნობას და უფლების ჩამორთმევის ცნობას, არცერთი თანამშრომლის მიერ არ იყო წარმოდგენილი. დაწესებულებამ ასევე ვერ წარმოადგინა შრომითი ხელშეკრულებები, დირექტორის განმარტებით, ხელშეკრულებების გაფორმება დაგეგმილია ავტორიზაციის გავლის შემდგომ. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება".სკოლაში კადრების მოზიდვა და დასაქმება განხორციელდეს ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით, კერძოდ სკოლის მიერ მასწავლებლების მიღება მოხდეს კონკურსის ჩატარების გზით, ყველა თანამშრომელმა წარმოდგინოს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის ცნობა და უფლების ჩამორთმევის ცნობა, შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს ყველა დასაქმებულთან.**

4. სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია 34 თანამშრომელი, მათგან 20 მასწავლებელია, რომელთაგან მხოლოდ 4 მასწავლებელს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო დანარჩენი 16 მასწავლებელი ვერ აკმაყოფილებს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ვინაიდან აღნიშნულ პირებთან არ იყო გაფორმებული ხელშეკრულებები, ვერ დგინდება, რა სტატუსით აპირებს სკოლა ამ მასწავლებლების დასაქმებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი თანამდებობრივი ინსტრუქციით საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია მხოლოდ დამლაგებლის და დარაჯის პოზიციებისთვის. საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ არის დადგენილი დირექტორის მოადგილისათვის, საქმისწარმოებლის, ფინანსური მენეჯერის, მატერიალურ-ტექნიკური

უზრუნველყოფის კოორდინატორის და ბიბლიოთეკარისათვის. შესაბამისად, ვერ დგინდება, სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ თუ არა სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ხოლო, რაც შეეხება სკოლაში ექიმის პოზიციაზე დასაქმებულ კადრს, მას აქვს შესაბამისი განათლება და მის მიერ დაკავებული პოზიცია შეესაბამება ექიმისთვის კანონმდებლობით წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.ყველა პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაში მოვიდეს დაკავებულ თანამდებობასთან, კერძოდ, 16 მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.**

**5.** სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის მე-6 მუხლის თანახმად გათვალისწინებულია პერსონალის საგანმანათლებლო სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობა. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სამომავლოდ გიმნაზია უზრუნველყოფს პერსონალის ჩართულობას საგანმანათლებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იგეგმება გადაწყვეტილებების მიღება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მაღალი ჩართულობით. გადაწყვეტილებების მიღება მოხდება გამჭვირვალედ, სამართლიანად და კოლეგიალურად ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

**დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, შესაბამისად, 3.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში სამომავლოდ განხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები, კერძოდ: დღესასწაულთან დაკავშირებით, მოტივაციის ამაღლების მიზნით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე, დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი და 3.1.2(6) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. გიმნაზიის შინაგანაწესი;
2. თანამდებობრივი ინსტრუქციები;
3. პერსონალის მაღვის პოლიტიკის დოკუმენტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია

ადამიანური რესურსის განვითარების საშუალებები, თუმცა ნაკლებად იკვეთება შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, ასევე არ არის აღწერილი, თუ როგორ ხდება სკოლაში დასაქმებული (გარდა მასწავლებლისა) სხვა დანარჩენი პერსონალის შეფასება და საჭიროებების დადგენა. შესაბამისად, სავალდებულოა სკოლამ გაწეროს პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტში, სკოლაში დასაქმებული პერსონალის საქმიანობის შეფასების გამჭირვალე მექანიზმები. განსაზღვროს შეფასების პროცესში ჩართული პირები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები და სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმებში ასახვის ფორმები. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3..2.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის დოკუმენტი, შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,, შეესაბამება".**

2. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას 3.2.1 (2) ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების განვითარების დოკუმენტებში არ არის აღწერილი თუ როგორ ახორციელებს სკოლა პერსონალის კარიერული ზრდისთვის ხელშეწყობას. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლის კარიერული ზრდისთვის მიმართავს სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციას მასწავლებლების გადამზადების მოთხოვნით. გარდა ამისა, სკოლის ბიბლიოთეკას დირექცია მოამარაგებს მეთოდური ლიტერატურით, რომლითაც ისარგებლობენ მასწავლებელბი. მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე რეგისტრაციის მიზნით სკოლა ინფორმაციას მიაწვდის მასწავლებლებს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.2.1(3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-4 მუხლი ითვალისწინებს თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ადაპტაციას. ა(ა)იპ ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს უშუალო უფროსი და კოლეგები, რომლებიც ახალდასაქმებულ პირს სამუშაო ადგილზე ხვდებიან. არსებული პერსონალი, აგრეთვე, უშუალო ხელმძღვანელი ვალდებულია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ახალი თანამშრომლისთვის კომფორტული გარემოს შექმნას, მისი ახალ გარემოში ადაპტაციის უზრუნველსაყოფად. ახალ თანამშომელს გასაცნობად გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლა ასევე მატერიალურ-ტექნიკური რესურსით შეუწყობს ხელს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. **შესაბამისად, 3.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ინდიკატორი 3.2.1(5) ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. *პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ ვიზიტის ფარგლებში ვერ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნებოდა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და

შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.3.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი.**

2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას ნაწილობრივ აქვს გაწერილი მარეგულირებელ დოკუმენტაციაში, როგორიცაა თანამდებობრივი ინსტრუქციები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, საქმისწარმოების წესი, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, თუმცა აღნიშნული დოკუმენტების ჩამონათვალი არის მწირი და ხშირ შემთხვევაში ხარვეზიანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას არ აქვს ბოლომდე გააზრებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და შემუშავებული დოკუმენტაცია სრულად არ მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ რეგულაციებს. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.3.1.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ გაიაზროს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და შემუშავებულ დოკუმენტაციაში გაითვალისწინოს აუცილებელი რეგულაციები.**
3. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომლის 30-ე მუხლში გაწერილია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. შინაგანაწესის თანახმად, სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს დადგენილი წესით, თუმცა არ არის აღწერილი რას გულისხმობს დადგენილი წესით რეგისტრაცია. შინაგანაწესის თანახმად, სკოლის დირექცია საჩივარზე რეაგირებას ახდენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, თუმცა არ არის განმარტებული როგორ ხდება საჩივრის მიღება, დასაშვებად ცნობა, განხილვა და გადაწყვეტილების გაცნობა. აგრეთვე მშობელს და მოსწავლეს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სკოლის და მასწავლებლის არამართლზომიერი და უკანონო ქმედებები კანონმდებლობით დადგენილი წესით. შინაგანაწესის დებულებები შემოიფარგლება მხოლოდ ზოგადი რეგულაციებით და ბუნდოვანია განმცხადებელმა/საჩივრის ავტორმა, თუ რა ზომებს უნდა მიმართოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების რეალიზებისთვის. გასაჩივრების პროცედურები უნდა იყოს დეტალური და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის მარტივად აღსაქმელი. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.3.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა კორექტირებული შინაგანაწესი და გასაჩივრების მექანიზმების დოკუმენტი, შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,, შეესაბამება".**

4. ვინაიდან ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულებები, უცნობია რამდენად იქნება გათვალისწინებული თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ასევე მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვერ დგინდება, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.3.1.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ გათვალისწინოს თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ასევე მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის შინაგანაწესი;

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა გეგმავს სასწავლო წლის დასაწყისში, გამართოს მშობელთა კრებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს გააცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, მიაწვდიან ინფორმაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების შესახებ და წლის განმავლობაში დაგეგმილი

აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, გაიმართება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა საკითხზე. სკოლა ჩაატარებს ანონიმურ გამოკითხვებს, რომელიც სასკოლო საზოგადოების წევრებს საშუალებას აძლევს მიაწოდონ თავიანთი მოსაზრებები, სკოლას კი საშუალება ეძლევა მიიღოს უკუკავშირი და დაგეგმოს გასაუმჯობესებელი ნაბიჯები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.2(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ:

   **პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები** პედაგოგიური საბჭო იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და სხვა.

   **საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით.** კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები დაესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემჯამაებელი დავალებების ანალიზს.

   **ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა, შესაბამისად, 3.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1.პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გიმნაზიის ეზო არ არის გამიჯნული, ეზოში მდებარეობს ტაძარი და საერთო საცხოვრებელი, სადაც ცხოვრობენ იძულებით გადაადგილებული პირები.
სკოლაში მოწყობილია ექიმის კაბინეტი. დათვალიერებით დადგინდა, რომ კაბინეტი სრულად არ არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად.

სკოლას არ აქვს დასკვნა და არც მიწერილობა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. ასევე არ არის შექმნილი საგანგებო შტაბი და არ არსებობს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლამ წარმოადგინა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ).
სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესებულებამ შეიმუშავა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისი წესი, თუმცა არ შეუთანხმებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს დამონტაჟებულია სკოლის მხოლოდ გარე პერიმეტრზე, შენობის შიდა პერიმეტრი სრულად არ არის აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. ასევე არ არის განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი პირი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმოს შესაბამის უწყებასთან, სკოლის ეზო გამიჯნოს ტერიტორიაზე არსებული სხვა შენობებისაგან, სკოლის სამედიცინო კაბინეტი აღჭურვოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ-ს შესაბამისად, შენობის შიდა პერიმეტრი სრულად აღჭურვოს ვიდეოსათვალთვალო სისტემით. ასევე განსაზღვროს შესაბამისი უფლებამოსილი პირი.**

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე შემუშავებული წესის თანახმად, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, დაწესებულებას ჰქონდა ვალდებულება შეეთანხმებინა მის მიერ შემუშავებული წესის პროექტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მხოლოდ ამის შემდეგ დაემტკიცებინა, რაც სკოლის მიერ არ განხორციელდა. სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი, თუმცა დირექტორის ბრძანებით არ არის განსაზღვრული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც**

**არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ მის მიერ შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგი დაცვის წესი შეათანხმოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ასევე განსაზღვროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.**

3. სკოლა აცხადებს მზაობას თავისი შესაძლებლობების ფარგლებში შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა გეგმავს გამართოს საინფორმაციო შეხვედრები, რომლის მიზანი იქნება ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. **3.4.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. შესაბამისად **3.4.1.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის მექანიზმები, აგეთვე არ არის განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. ვინაიდან ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების და შრომითი ხელშეკრულების ნიმუში, ვერ დგინდება მოიცავს თუ არა ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებები რეგულაციებს მოსწავლისა და დასაქმებული პირების პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.5. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება".დაწესებულებამ შეიმუშაოს**

**პერსონალურ მონაცემთა დაცვის და მონიტორინგის მექანიზმები. აგრეთვე განსაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.**

6. სკოლას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები" შესაბამისად ვერ დგინდება სკოლაში რამდენად დაცული იქნება ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. აუცილებელია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომელითაც უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე დაიცვას ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. აგრეთვე განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტურ მუშაობაზე. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.5. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება".სკოლამ უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვა.**

7. ვინაიდან დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული **3.4.1.7. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. დამოუკიდებელი ექსპერტიზის დადებითი დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.
2. სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

## 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

*ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სკოლას საქართველოს საპატრიარქოსგან თხოვების ხელშეკრულებით გადაცემული აქვს 18 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, მათ შორის სკოლის შენობა საერთო ფართით 746 კვ.მ. აღნიშნული უძრავი ქონების გადაცემა განხორციელდა 2011 წლის 19 ნოემბერს 15 წლის ვადით, შესაბამისად ამ მოცემულობით სკოლა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამისი მატერიალურ რესურსის არსებობას ავტორიზაციის ვადით.
   სკოლის შენობა სამ სართულიანია. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. შენობაში განთავსებულია დირექციის კაბინეტები, კანცელარია და ბუღალტერია, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი, საკლასო ოთახები (ბუნებრივი განათებით), სამედიცინო კაბინეტი, სამეურნეო სათავსეობი, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია,

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სპორტული დარბაზი და საპირფარეშოები. საპირფარეშოები განთავსებულია პირველ სართულზე გოგონებისა და ვაჟებისთვის, ასევე ადაპტირებული საპირფარეშო, ხოლო მეორე სართულზე მასწავლებლებისთვის. სკოლის ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი.

საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და დაფებით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. სამასწავლებლო აღჭურვილია მაგიდებით, სკამებით, კარადებით და კომპიუტერებით.

კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით, მაგიდებით, სკამებითა და პროექტორით. სპორტულ დარბაზში განთავსებულია სპორტული ინვენტარი.

სკოლა აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით. სკოლას ბალანსზე ერიცხება ვარგის მდგომარეობაში არსებული 180 ინდივიდუალური მერხი და სკამი.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია კოლბებით, ქიმიური რეაქტივებით, მულაჟებით, თვალსაჩინოებებით და სხვა საჭირო ნივთებით. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ხელსაბანი ნიჟარა და უზრუნველყოფილია წყლით. ლაბორატორიაში არ არის დამონტაჟებულია სავენტილაციო სისტემა და გამწოვი კარადა, რომლის გარეშეც აკრძალულია გარკვეული ცდების ჩატარება. ლაბორატორიაში არსებული მერხების ზედაპირები არ იძლევა ცდების ჩატარების საშუალებას, შესაბამისად, ლაბორატორიაში შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ სადემონსტრაციო ცდები. სკოლას მიეცა რჩევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში მოაწყოს გამწოვი კარადა, ასევე, აღჭურვოს ისეთი ზედაპირის მერხებით/მაგიდით, რომლის ზედაპირიც მისცემს საშუალებას ჩატარდეს ცდები ერთდროულად ყველა მოსწავლის მიერ.

**სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.5.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერი( განცხადების რეგისტრაციის N 892023134471) , რომლის თანახმადაც , სკოლას საქართველოს საპატრიარქოსგან თხოვების ხელშეკრულების ვადა გაუგრძელდა 2043 წლამდე, შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,, შეესაბამება".**

2. სკოლის შენობაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის. **3.5.1.2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

**3. სკოლის ინფრასტრუქტურა არის ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის.** კერძოდ, სკოლის შენობის შესასვლელში არის პანდუსი, პირველ სართულზეა ადაპტირებული სველი წერტილი. ასასვლელ კიბეებზე დამონტაჟებულია ასაკეცი პანდუსები.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, შესაბამისად **3.5.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლას აქვს შიდა კეთილმოწყობილი ეზო, რომელსაც სკოლა აქტიურად გამოიყენებს სხვადასხვა აქტივობებისათვის. შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, რეკრეაციული სივრცით ისარგებლონ. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა გეგმავს ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა მოემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. **3.5.1.4.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსები.
**ისტ-ის მიმართულებით:** სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები.
**სპორტის გაკვეთილებისთვის:** სკოლის ეზოში არის სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისი სპორტული მოედანი ხელოვნური საფარით, სკოლას ასევე აქვს შიდა სპორტული დარბაზი, რომელსაც უამინდობის დროს გამოიყენებს სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად.
**საბუნებისმეტყველო მიმართულებით:**
სკოლას აქვს შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. თუმცა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ლაბორატორიის მოწყობა იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოს ჩატარება.

**3.5.1.5.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის ვიზუალური დათვალიერება;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მერხები, დაფები, სახელმძღვანელოები);
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის ბალანსზე ირიცხება მოხმარებისთვის ვარგის მდგომარეობაში არსებული 13 პერსონალური კომპიუტერი, სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი კომპიუტერები განლაგებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია პრინტერითა და სკანერის აპარატით. აღნიშნული დასტურდება საინვენტარო აღწერილობის აქტებით და ვიზუალური დათვალიერებით. **დგინდება, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების**

**ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას და 3.6.1(1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.3.6.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. ვინაიდან სკოლას არ აქვს შემუშავებული მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, ვერ დგინდება, როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.6.1.2. ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა მატერიალური და არამატერიალური რესურსების სარგებლობის წესი შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება;

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები

გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებსაც, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. **3.6.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში საქმისწარმოება არ ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება ელექტრონული ჟურნალის გამოყენებაზე. შესაბამისად **3.6.2.2. ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, მას ჯერ არ გააჩნია პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შესაბამისად **3.6.2.3 ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

4. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **3.6.2.4 ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები (ბრძანებების, გასული/შემოსული დოკუმენტაციისა და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი);

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **სკოლას არ აქვს ვებგვერდი,** შესაბამისად ის ვერ ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით, აგრეთვე დაწესებულებას არა აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან ურიერთობის წესი ჯგუფები.**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 30.11.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით.**

2. ვებგვერდის და სოციალური გვერდის არ არსებობის გამო სკოლა ვერ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას შესახებ.**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.2. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 30.11.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ უზრუნველყოს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება.**

3.ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **3.6.3.3. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

4. როგორც უკვე აღინიშნა, ამჟამად სკოლას არ აქვს ვებგვერდი, თუმცა, იგეგმება პორტალის შექმნა, სადაც განთავსდება სრული ინფორმაცია სკოლის შესახებ. შესახებ.**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის**

**უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 30.11.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება.**

5. ვინაიდან სკოლას არ აქვს ვებგვერდი, შესაბამისად არ არის გამოქვეყნებული ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, და სხვა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.5. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს ვებგვერდზე შემდეგი ინფორმაციის განთავსება:ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები.**დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

## 3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 10 მარტის N461 დადგენილებით განსაზღვრული საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული დაწესებულებებისათვის ფინანსური დახმარების ფარგლებში გამოყოფილი თანხა. **3.7.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას აქვს მზაობა ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემის შექმნის. დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ყოველწლიურად დაამტკიცებს ბიუჯეტს, ხოლო წლის ბოლოს შედგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. **3.7.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას არა აქვს შემუშავებული ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებულ შიდა ინსტრუქციებს, არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით არ არის განსაზღრული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.1.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.სკოლამ შეიმუშაოს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ასევე განსაზღვროს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.**

2. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლის შინაგანაწესი

გამოკრული იქნება საინფორმაციო დაფაზე და საჭიროების შემთხვევაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში განხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება გაითავლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დადასტურდება ხელმოწერით. **4.1.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **4.1.1.3**. **ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სკოლის შინაგანაწესი

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის ადმინისტარციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, მშობლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის

ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის'' თანახმად. აღნიშნული ბრძანებითვე მოახდენს სკოლა სტატუსის შეჩერება-აღდგენის პროცედურას. სკოლაში მობილობა განხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის'' შესაბამისად, თუმცა შინაგანაწესის 27-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ მოსწავლეს შეიძლება, უარი ეთქვას გიმნაზიაში ჩარიცხვაზე, თუ ის ვერ ჩააბარებს მისაღებ გამოცდას ან გასაუბრების შედეგად, მიზანშეუწონლად მიიჩნევა მისი ჩარიცხვა. აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესს, არის დისკრიმინაციული და არღვევს მოსწავლეთა უფლებას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.1.2.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“ სკოლამ შეიმუშაოს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც იქნება მკაფიო და უფრო ნათელს გახდის ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის აღნიშნული პროცესების განხორციელების წინაპირობებს.**

2. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **4.1.2.2. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

3. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა მოქმედი ვებგვერდი, ასევე სკოლის საინფორმაციო დაფაზე არ იყო განთავსებული რაიმე ინფორმაცია, შესაბამისად სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.1.2.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.01.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“ დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა.**

4. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **4.1.2.4. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას არა აქვს შემუშავებული მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი. შესაბამისად ვერ დგინდება, რა მექანიზმებით გეგმავს სკოლა, როგორც პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, აგრეთვე სხვა სკოლიდან გადმოსული და უცხო ქვეყნიდან ჩამოსული მოსწავლეების შემთხვევებში ადაპტაციის ხელშეწყობას.**სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 4.2.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“.**
2. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, **4.2.1.2 ინდიკატორი ვერ შეფასდება.**
3. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სკოლა აცხადებს მზაობას სემესტრის მიმდინარეობის დროს და დასასრულს, კლასის დამრიგებლები ინდივიდუალურად გააცნობენ ინფორმაციას მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ჩატარდება სემესტრული გამოცდები. აღნიშნულთან დაკავშირებით მოხდება მშობლების ინფორმირება დამრიგებლის მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით. **4.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **4.2.1.4 ინდიკატორი ვერ შეფასდება.**
5. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **4.2.1.5 ინდიკატორი ვერ შეფასდება.**
6. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **4.2.1.6 ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **4.2.2.1.ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

2. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **4.2.2.2. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

3. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **4.2.2.3. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ადმინისტრაციასთან გასაუბრება;

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები განხორციელდება სემესტრში

მინიმუმ ოთხჯერ და საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურად იქნება ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა გაითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად იქნება მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შეიქმება სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბოლოს დადებს დასკვნას. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი შეხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ მოხდება შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლება. ადმინისტრაციამ წარმოადგინა ისგ ნიმუში, რომელშიც გაწერილია წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები. **ინდიკატორი 4.2.3.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2.ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **ინდიკატორი 4.2.3.2 ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. ისგ-ს ნიმუში;

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.**

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ვინაიდან სკოლა დაფუძნების პროცესშია **ინდიკატორი 4.2.4.1. ვერ შეფასდება;**
2. ვინაიდან სკოლა დაფუძნების პროცესშია **ინდიკატორი 4.2.4.2. ვერ შეფასდება;**
3. ვინაიდან სკოლა დაფუძნების პროცესშია **ინდიკატორი 4.2.4.2. ვერ შეფასდება;**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)<br>დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების გათვალისწინების შესაძლებლობას. ამის უზრუნველსაყოფად, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, სკოლა გამოიყენებს კონსულტაციებს მშობლებთან, შეხვედრებს პედაგოგებთან. ამავე მიზნით მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სკოლა მიმართავს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს. სკოლის კურიკულუ
მის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, ასევე სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები, გარდა ამისა აღწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესში პედაგოგთა პრაქტიკის გაზიარების პროცედურები, ასევე ის ამ დოკუმენტის თანახმად აპირებს უზრუნველყოს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება და რევიზია, რათა მომდევნო სასწავლო წელს სკოლამ წარმოადგინოს წინა წლის ანალიზის საფუძველზე გადამუშავებული კურიკულუმი, რომელიც სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებს უპასუხებს. **ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია**
2. სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები ასახულია კურიკულუმში, რომლებსაც კონსულტაციების შედეგად დაადგენს სკოლა. ასევე საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში მოხდება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება შესაბამისი თემებისა და რესურსების შეთავაზებით. აღნიშნული ქმედებები მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა აცნობიერებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას სასკოლო ცხოვრებაში და აპირებს მუშაობას ამ მიმართულებით და მათი ინტერესების გათვალისწინებას. **ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია**

3. კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების ჩართულობითაა შემუშავებული, რაც გამოიხატება სხვადასხვა აქტივობებით, კერძოდ საგნობრივ კათედრაზე ერთობლივი მუშაობით, მიღებული გამოცდილების გაზიარებით, მისი ანალიზით,

კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავებით, შესაბამისი თემების, შუალედური მიზნებისა, თუ რესურსების შერჩევით, კათედრებზე ერთობლივი მუშაობით. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიზნით მოხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. **ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია**

4. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებულია კურიკულუმი. დაწესებულება გეგმავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად მომავალშიც გამოიყენოს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება. მათ შორის აქვს მშობლებთან ურთიერთობის სხვადასხვა საკომუნიკაციო ფორმა, ეს ექნება როგორც სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ინდივიდუალური შეხვედრების გზით, სოციალური ქსელის საშუალებით, მშობლის ბარათებით და სხვ. **ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის თითქმის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილები, რომლებიც მეტწილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში მეტ - ნაკლებად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. კომპლექსურ დავალებებში მეტწილად გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. კურიკულუმები ძირითადად ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას შეძლებისდაგვარად გაითვალისწინეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი გრძელვადიანი მიზნები. სკოლამ ასევე წარმოადგინა მათ მიერ შემუშავებული შეფასების დოკუმენტები (განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები), რომლებიც მეტწილად კორელაციაშია კურიკულუმში მოწოდებულ საკითხებთან და გაწერილია სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია**

2. კურიკულუმები ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში მეტწილად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნების სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ ძირითადად გააზრებული აქვთ კომპლექსური დავალებისა და კომპლექსური ბუნების დავალებების მიმართება კონკრეტულ სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მიმართ, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს) და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი დაიგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო გარემო და დაგეგმილი კურიკულუმები მოსწავლეთა საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული. პედაგოგები სასწავლო პროცესში გამოიყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, გაითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალურ საჭიროებებს და შესაძლებლობებს. სკოლის მიერ შერჩეულია ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები, რაც მოსწავლის ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სსსმ მოსწავლეებისათვის გეგმავენ შეიმუშავონ ინდივიდუალური გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. **ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია**

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასება იწარმოება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. V-VI კლასებში მოსწავლეთა შედეგები შეფასდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, ხოლო I-VI კლასებში - განმავითარებელ რუბრიკებზე დაყრდნობით. გასაუბრებაზე აღინიშნა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს), პედაგოგებს მეტ - ნაკლებად გააზრებული აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აგების პრინციპი. სკოლა გამოიყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. სკოლის მიერ იგეგმება განმავითარებელი რუბრიკების შექმნა (I - IV და V - VI კლასები) ყოველი კონტექსტ - მაგალითის მიმართ და განმსღვრელი რუბრიკის შექმნა (V და VI კლასები) დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შესასწავლი თემებისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია**

5. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს) და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დაწყებითი საფეხურის ყველა სავალდებულო საგნის კურიკულუმები დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების ჩართულობით მიიღებს დასრულებულ სახეს. **ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუ დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**
**2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ზოგიერთი საგნობრივი ექსპერტის მხრიდან ინდიკატორი შეფასდა დამაკმაყოფილებლად. მაგალითად, მათემატიკის მიმართულებით ექსპერტი აღნიშნავს, რომ ა(ა)იპ - ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში სასწავლო პროცესში გათვალისწინებული სწავლა-სწავლების პრინციპები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორიენტირებას მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც წარმოადგინა სკოლამ (სკოლამ წარმოადგინა ყველა კლასის კურიკულუმი და ზოგიერთი კლასის ჩაშენებული კომპლექსური დავალებები) ხელს უწყობს მოსწავლეებს, შეიძინონ მათ ცოდნა - ფიქრის, მსჯელობის, პრობლემების გადაჭრის გზით. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეებს ექნებათ საშუალება აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში კონსტრუქტივისტული მიდგომებით, რესურსებით და სტრატეგიებით. სკოლამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების ნიმუშები. წარმოდგენილი დავალებები არის ცხოვრებისეული სიტუაციის ამსახველი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეს უწევს პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ალტერნატივების შემუშავება და არჩევანის გაკეთება, რაც თავისთავად უზრუნველყოფს მოსწავლის მოტივაციას და მის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას.
რაც შეეხება, *საზოგადოებრივ მეცნიერებებს, ქართულ ენასა და ლიტერატურას, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს,* მათი შეფასებით, ინდიკატორი არ არის შესაბამისობასთან. სახელმწიფო ენის მიმართულებით, ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგებს უჭირთ და სრულყოფილად ვერ იაზრებენ კურიკულუმის ჩარჩო დოუმენტში კონტექსტ მაგალითებად შერჩეულ მხატვრული ტექსტების, თემების და დავალებების იდეების ურთიერთკავშირსა და დანიშნულებას სასწავლო პროცესში. თვითშეფასების კითხვარშიც შესაბამისი კომპონენტი, კერძოდ, „კურიკულუმის

განხორციელება“ და მასთან დაკავშირებული სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების შესაფასებლად გამიზნული არცერთი ინდიკატორის არც განხილვა და არც ზოგადი ანალიზი არ გახლავთ წარმოდგენილი.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით პედაგოგებს არ აქვთ გააზრებული სასწავლო პროცესისადმი კომპლექსური მიდგომა, შესაბამისად წარმოდგენილი კურიკულუმები ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს) და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბუნებისმეტყველების პედაგოგებს პრაქტიკულად არ აქვთ გააზრებული სასწავლო პროცესისადმი კომპლექსური მიდგომა, შესაბამისად, 2023 – 2024 წლის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას.

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.1 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.***

2. საგნობრივი ექსპერტების ნაწილის მხრიდან ინდიკატორი ვერ შეფასდა დამაკმაყოფილებლად. მაგალითად, დაწყებით საფეხურზე სახელმწიფო ენის მიმართულებით, კურიკულუმში ასახული თემები, კონტექსტმაგალითებად შერჩეული სავალდებულო მხატვრული ტექსტები და მათ ურთიერთშესაბამისობაზე ინტერვიურებისას პედაგოგთა რეფლექსია, არ იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კათედრას მართებულად ესმის მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშნელოვანი კომპონენტის არსი. პედაგოგები მართებულად ვერ იაზრებენ, სასწავლო პროცესში სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისათვის, ახალი ცოდნის შესაძენად - ამ საგანმანათლებლო პრინციპის დანიშნულებას. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას მართებულად არ ესმის მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშნელოვანი კომპონენტის არსი. პედაგოგებს არ აქვთ გააზრებული, თუ როგორ შეიძლება მოახდინონ ცოდნის აგება ეტაპობრივად ნაცნობი კონტექსტიდან. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს) და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს არ აქვთ გააზრებული მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშნელოვანი კომპონენტის არსი, შესაბამისად,

კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გაუჭირდებათ აქცენტის გაკეთება ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და მიღებული ინფორმაციის აქტიურ ცოდნად გარდაქმნის პროცესს.

თუმცა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. დავალებები ეყრდნობა ნაცნობ კონტექსტებს რაც, კარგად ჩანს კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებში, რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიანი მიზნების დაფარვისკენ. ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია თემატური ბლოკები, თემები, საკითხები და სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე.

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.2 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ ახალი ცოდნის კონსტრუირების განხორციელება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.***

3. საგნობრივი ექსპერტების მხრიდან ინდიკატორი შეფასდა დამაკმაყოფილებლად. მაგალითად, მათემატიკის მიმართულებით სკოლის მიერ წარმოდგენილი მატრიცა ისეა აგებული, რომ მოსწავლეს უწევს მუშაობა კლასში მასწავლებლის ზედამხედველობით სწავლის სხვადასხვა სტარტეგიების გამოყენებით, ასევე არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლეს დამოუკიდებლად უწევს მასალის დამუშავება უკვე ნაცნობი აქტივობების გამოყენებით. გარდა ამისა კომპლექსური დავალების წარდგენისას მოსწავლეს უწევს საუბარი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში გავლილ გზაზე. უცხოური ენების მიმართებით შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებილც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტიანად. გარდა ამისა, წარმოდგენილი კურიკულუმი ითვალისწინებს ქვეცნება სტრატეგიის გააქტიურებას (კითხვის, მოსმენის, ლაპარაკი და წერის სტრატეგიები), რომლებზე მუშაობაც მოსწავლეს განუვითრებს უნარებს იცნობდეს და ირჩევდეს საჭირო სტრატეგიებს. თუმცა, საზოგადოებრივი მეცნიერების მიმართულებით, წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და მასწავლებლებთან ინტერვიუირების გაანალიზების საფუძველზე, სწავლა სწავლების პროცესში აქცენტი ნაწილობრივ გაკეთდება სწავლის სწავლაზე. სახელმწიფო ენის მიმართულებით პედაგოგებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მოსწავლეთა სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ. ისინი ვერ ასახელებენ იმ კონკრეტულ სასწავლო სტრატეგიებს, რომლებიც უნდა მოერგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოცდილებას, რათა მათთვის უფრო ადვილი და კომფორტული გახდეს გახდეს სწავლის პროცესის სოციო-ემოციური კუთხით მართვა.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.3 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ სასწავლო პროცესში აქცენტი გააკეთოს სწავლის სწავლაზე*

4. ექსპერტთა დიდი ნაწილის მხრიდან ინდიკატორი შეფასებულია დამაკმაყოფილებლად. მათ შორის, კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებების იდეიდან ჩანს, რომ, იგი იძლევა საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრების საშუალებას და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. ასევე პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებისას, (პროექტები) მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა.თუმცა, სახელმწიფო ენის მიმართულებით, პედაგოგებს უჭირთ საგაკვეთილო პროცესში განსახორციელებული აქტივობების დანიშნულების სრულყოფილად გააზრება, მათი ფუნქციისა და დანიშნულების გაცნობიერება ცოდნის ამა თუ იმ კატეგორიისა და ზოგადად ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების პროცესში.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.4 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).*

5. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს) და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სხვადასხვა საგანში მიღებული სხვადასხვა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებული გამოყენების შესახებ, რადგან არ გააჩიათ აღნიშნული პრინციპების გამოყენებით სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.5 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული*

*იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო,
- კომპლექსური დავალებები,
- გასაუბრება მასწავლებლებთან

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მიუხედავად იმისა, რომ კათედრების მიერ წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება, პედაგოგებს უჭირთ საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების მოსწავლეთა მიერ გათავისებისა და გაცნობიერებისათვის საჭირო მეთოდიკური მიდგომებისა და პრაქტიკული სასწავლო აქტივობების დასახელება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში შუალედური და გრძელვადიანი მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილი იქნება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. მასწავლებლებს ეპიზოდურად სწორად აქვთ მითითებული საკითხები, ცნებები, ქვესაკითხები. საგნობრივი კურიკულუმი ნაწილობრივ ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება უმეტეს მათგანში, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მიმართულებები, სამიზნე ცნებები, საკითხები. მეორე მხრივ,

წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი ნაწილობრივ უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას, რადგან გვხვდება კურიკულუმის ჩარჩოებში არასრულყოფილად წარმოდგენილი სამიზნე ცნებებიც (მაგ. ინგლისური ენის მე-4 კლასის კურიკულუმში არაა წარმოდგენილი რომელი სამიზნე ცნებები დამუშავდება თითოეული თემის ფარგლებში, ასევე ინგლისური ენის მე-2 კლასის კურიკულუმში უზუსტობაა ერთ - ერთ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო კათედრის ყველა კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო (I - IV და V – VI კლასები), რომელშიც ნაწილობრივ გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად უნდა გასწორდეს, კერძოდ, ბუნებისმეტყველების I კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (სახლი და სკოლა, როგორც გარემო) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი „qeisi 1.1. an sarekomendacio qeisi – ilustracia“, რომელიც გაუგებარია, არ იკითხება, თუ რა მოიაზრება ამ კონტექსტ - მაგალითის ქვეშ, ამავე საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „გზის მაკეტის შექმნა“, რომელიც ასევე გაუგებარი და დასაკორექტირებელია, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ გზის მაკეტის შექმნა, თუმცა რატომ უნდა შექმნას იგი, არ არის გაწერილი. მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „სახლისა და სკოლის ნივთების ცხრილის შექმნა“, რომელიც გაუგებარი და დასაკორექტირებელია, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ სახლისა და სკოლის ნივთების ცხრილის შექმნა, თუმცა რატომ უნდა შექმნას იგი, არ არის გაწერილი. მესამე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „ნახატების ალბომის შექმნა“, რომელიც გაუგებარი და დასაკორექტირებელია, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ ნახატების ალბომის შექმნა, თუმცა რატომ უნდა შექმნას იგი, არ არის გაწერილი. მეოთხე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი „ მცენარეები (ბალახი, ბუჩქი, ხე) და ცხოველები (ფრინველები)“, რომელიც გაუგებარია, არ იკითხება, თუ რა მოიაზრება ამ კონტექსტ - მაგალითის ქვეშ. II თემის (ადამიანი) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „ლეპბუქი“, რომელიც გაუგებარი და დასაკორექტირებელია, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ „ლეპბუქის“ შექმნა, თუმცა რატომ უნდა შექმნას იგი, არ არის გაწერილი.მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „მოდელი“, რომელიც გაუგებარი და დასაკორექტირებელია, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ მოდელის შექმნა, თუმცა რატომ უნდა შექმნას იგი, არ არის გაწერილი. მესამე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „სკოლის გეგმა“, რომელიც გაუგებარი და დასაკორექტირებელია, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ სკოლის გეგმის შექმნა, თუმცა რატომ უნდა შექმნას იგი, არ არის გაწერილი. მეოთხე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „მოდელი“, რომელიც გაუგებარი და დასაკორექტირებელია, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ მოდელის შექმნა, თუმცა რატომ უნდა შექმნას იგი, არ არის გაწერილი. ბუნებისმეტყველების II კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემა (ხმელეთი, როგორც გარემო) არ არის გაწერილი (ცარიელია). II თემის (წყალი, როგორც გარემო) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი „განსახილველი ქეისი / სიტუაციური ამოცანა:“, რომელიც გაუგებარია, არ იკითხება, თუ რა მოიაზრება ამ კონტექსტ - მაგალითის ქვეშ, ამავე საკითხთან არ არის მითითებული სახელმძღვანელო, როგორც სასწავლო რესურსი. მეორე ძირითად

საკითხთან არ არის მითითებული სასწავლო რესურსი. მესამე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „საინფორმაციო ბუკლეტი“, რომელიც გაუგებარი და დასაკორექტირებელია, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ საინფორმაციო ბუკლეტის შემნა, თუმცა რატომ უნდა შექმნას იგი, არ არის გაწერილი. ამავე საკითხთან არ არის განსაზღვრული ძირითადი კონტექსტ - მაგალითი და არ არის მითითებული სახელმძღვანელო, როგორც სასწავლო რესურსი. III თემა (ჰაერი, როგორც გარემო) არ არის გაწერილი (ცარიელია). ბუნებისმეტყველების III კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (ჩემი ქვეყნის ბუნება) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი „სიტუაციური ქეისი“, რომელიც გაუგებარია, არ იკითხება, თუ რა მოიაზრება ამ კონტექსტ - მაგალითის ქვეშ, ამავე საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „ნახატის შექმნა“, რომელიც ასევე გაუგებარი და დასაკორექტირებელია, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ ნახატის შექმნა, თუმცა რატომ უნდა შექმნას იგი, არ არის გაწერილი, ამავე საკითხთან სამიზნე ცნება მითითებულია არასწორად, წერია - ორგანიზმის საარსებო გარემო და უნდა ეწეროს - ორგანიზმი, საარსებო გარემო. II თემის (მზის სისტემა) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი „სიტუაციური ქეისი“, რომელიც გაუგებარია, არ იკითხება, თუ რა მოიაზრება ამ კონტექსტ - მაგალითის ქვეშ, ამავე საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „მოდელის შექმნა“, რომელიც ასევე გაუგებარი და დასაკორექტირებელია, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ მოდელის შექმნა, თუმცა რატომ უნდა შექმნას იგი, არ არის გაწერილი. აღსანიშნავია ერთი ფრიად გარემოება, კერძოდ, III კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულია - „ძირითადი რესურსი: გრიფირებული სახელმძღვანელო, ავტ.: ბლიაძე ; რ.ახვლედიანი“, თუმცა I თემის (ჩემი ქვეყნის ბუნება) პირველ ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსში განსაზღვრულია გრიფირებული სახელმძღვანელო - გამომცემლობა „ინტელექტი“ მანანა ვარდიაშვილი, მარინე ჭელიძე, ირმა ავალიანი, გიორგი გედენიძე - I I I კლასი; პრაგრაფები: 4.1-4.8 (გვ. 6-29); ლია შალვაშვილი, მანანა მაჭავარიან,ბუნება, მესამე კლასი, გვ. 33, მეორე ძირითად საკითხთან მარინე ჭელიძე, ირმა ავალიანი, გიორგი გედენიძე - I I I კლასი; პრაგრაფები: მესამე კლასი, გვ.12. II თემის (მზის სისტემა) პირველ ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსში განსაზღვრულია მანანა ვარდიაშვილი, მარინა ჭელიძე, III კლასი; გვ. 8; II თემის (მზის სისტემა). ბუნებისმეტყველების IV კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (დედამიწა) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი „ქეისზე დაყრდნობით“, რომელიც გაუგებარია, არ იკითხება, თუ რა მოიაზრება ამ კონტექსტ - მაგალითის ქვეშ, ამავე საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „დროის ხაზის შექმნა“, რომელიც ასევე გაუგებარი და დასაკორექტირებელია, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ დროის ხაზის შექმნა, თუმცა რატომ უნდა შექმნას იგი, არ არის გაწერილი. ამავე საკითხთან განსაზღვრულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე, ვიდეორესურსი „ტელესკოლის გაკვეთილი“ - ელექტრონული მისამართის გარეშე. მეორე ძირითად საკითხთან არ არის მითითებული სასწავლო რესურსი. II თემის (ციკლური პროცესები ბუნებაში) პირველ ძირითად საკითხთან განსაზღვრულია ძირითადი კონტექსტ - მაგალითი „ქეისზე დაყრდნობით“, რომელიც გაუგებარია, არ იკითხება, თუ რა მოიაზრება ამ კონტექსტ - მაგალითის ქვეშ, ამავე საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „კომიქსის შექმნა“, რომელიც ასევე გაუგებარი და დასაკორექტირებელია, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ კომისის შექმნა,

თუმცა რატომ უნდა შექმნას იგი, არ არის გაწერილი. ამავე საკითხთან განსაზღვრულია რესურსი სახელმძღვანელოს სახით, თუმცა - გვერდების გარეშე, ამავე საკითხთან განსაზღვრულია სამიზნე ცნება „სივრცეში ორიენტირება“ შსაბამისი ქვეცნების გარეშე. მეორე და მესამე ძირითად საკითხთან არ არის მითითებული სასწავლო რესურსი. ბუნებისმეტყველების V და VI კლასის კურიკულუმის ჩარჩო - სკოლის მიერ გადმოგზავნილ ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები (V და VI კლასები) შეიცავდა ბევრ ხარვეზს, რომლის გამოსწორების მიზნით სკოლაში ვიზიტისას გასაუბრების დროს პედაგოგს მიეცა რეკომენდაციები. სკოლის მიერ გასწორებული ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები (V და VI კლასები) არ/ვერ გადმოიგზავნა, შესაბამისად, იმის დადგენა, რომ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, ვერ მოხერხდა. სკოლის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის გზით გადმოგზავნილია ის კომპლექსური დავალებები, რომლის მიხედვითაც იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს (I – IV კლასები). ბუნებისმეტყველების I კლასის მეორე სავალდებულო სასწავლო თემაში „ადამიანი“ მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის მეოთხე ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით მუშავდება მხოლოდ ერთი სამიზნე ცნების - გარემოს დაცვა მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია ორი სამიზნე ცნება - ორგანიზმი, საარსებო გარემო და გარემოს დაცვა). ბუნებისმეტყველების II კლასში მოწოდებული კომპლექსური დავალება „წერილი პერსონაჟის სახელით“ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში არ არის გაწერილი, ამავე დროს აღნიშნული კოპლექსური დავალების შეფასების კრტიტერიუმში მითითებულია სამიზნე ცნება არასწორად, წერია - სუფთა გარემო და ასეთი სამიზნე ცნება ბუნებისმეტყველების (I – IV კლასები) სტანდარტით საერთოდ არ არსებობს, ამავდროულად, მოცემული შეფასების კრიტერიუმები გაუგებარია და საჭიროებს კორექტირებას. ბუნებისმეტყველების III კლასში მოწოდებული კომპლექსური დავალება “რატომ მოიწყინა კაკლის ხემ“ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში არ არის გაწერილი. ბუნებისმეტყველების IV კლასში მოწოდებული კომპლექსური დავალება კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში არ არის გაწერილი.

***<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.1 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;</u>***

2. მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. ამგვარად დაგეგმილ სასწავლო პროცესში, მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს ამოიცნოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა და გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. კურიკულუმის დანართებში ჩანს ესთეტიკის კათედრის მიერ საგნობრივი კონტექსტები და მრავალფეროვანი მაგალითები კომპლექსური დავალებების სახით. გასაუბრების დროს პედაგოგებმა ასევე ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე. 2023-2024 წ. სასკოლო სასწავლო გეგმა, განსაზღვრავს საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებას, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას, მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარებას, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობას და საფუძვლების შექმნა განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის. დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას ძირითადად გადამწყვეტ უპირატესობას მიანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. სახელმწიფო ენის პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგებს უჭირთ თემატური ერთეულებისა და გასაანალიზებელი პრობლემების შერჩევა.უძნელდებათ იმის განსაზღვრა, თუ როგორ, რა კუთხით, რომელი სასწავლო მიდგომებითა და მეთოდიკით უნდა მოერგოს ცალკეულ შემთხვევებში მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს. კონკრეტული თემა, საგნობრივი საკითხი, განსახორციელებელი აქტივობები, ესა თუ ის კონტექსტმაგალითი.

***<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.2 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო</u>***

***როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს საგნობრივი კონტექსტების ისე შემუშავება, რომ ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.***

3. სკოლის დირექტორი საუბრის დროს განმარტავს, რომ კათედრა სამომავლოდ, სასწავლო პროცესის დაწყების შემთხვევაში შეარჩევს შეფასების ფორმებსა და ინსტრუმენტებს, რომლებსაც გამოიყენებს მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასებისთვის. სკოლა შეეცდება მოსწავლეები ფორმალური და არაფორმალური აქტივობებით ჩართონ საგანმანათლებლო პროცესში. სკოლა გამოიყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევების ტაქსონომიას მოსწავლეთა მიერ სამიზნე ცნებების ფლობის დონის განსასაზღვრად. მოსწავლეები ინფორმირებულნი იქნებიან და სამომავლოდ, სავარაუდოდ თავად ჩაერთვებიან შეფასების კრიტერიუმების შედგენაში. კათედრა შეიმუშავებს და დახვეწს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს და შეძლებისდაგვარად გააანალიზებს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური განვითარების ყველა სფეროს (ფიზიკური, კოგნიტური, სოციო ემოციური). მაგალითად, მტკიცებულებად წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მოსწვალის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად მოიაზრება განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია, რომელიც ხუთ დონეს გულისხმობს: პრესტრუქტურულს, უნისტრუქტურულს, მულტისტრუქტურულს, მიმართებით და აბსტრაქტულს. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები, როგორც განამვითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც არ არის რელევანტური სამიზნე ცნებებთან მიმართებით. გარდა ამისა მტკიცებულების სახით წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო გეგმაში არის ჩანაწერი თუ როგორია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში (განმსაზღვრელი/განმავითარებელი). აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ბუნებისმეტყველების (I - IV კლასები) მიმართულების განმავითარებელი შეაფსების რუბრიკებში არის მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად უნდა გასწორდეს, კერძოდ, ბუნებისმეტყველების I კლასის პირველი სავალდებულო სასწავლო თემის მესამე ძირითადი საკითხის მიმართ შექმნილ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენები მითითებულია არასწორად, ამავდროულად, არ არის გაწერილი სამიზნე ცნების მეორე მკვიდრი წარმოდგენის მიმართ, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ (კომპლექსური დავალების მიხედვით მუშავდება სამიზნე ცნების „მოვლენა“ პირველი და მეორე მკვიდრი წარმოდგენა). ბუნებისმეტყველების I კლასის მეორე სავალდებულო სასწავლო სასწავლო თემის მეოთხე ძირითადი საკითხიის მიმართ შექმნილ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენები მითითებულია არასწორად, ამავდროულად, გნმავითარებელი შეფასების რუბრიკა არასრულყოფილია (არ არის გაწერილი იმ სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენის

მიმართ მიმართ, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსური დავალების მიხედვით), ამავე განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მითითებული სამიზნე ცნებები არ მოდის თანხვედრაში კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმში მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმის მიხედვით მუშავდება მხოლოდ ერთი სამიზნე ცნების - გარემოს დაცვა მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში მითითებულია ორი სამიზნე ცნება - ორგანიზმი, საარსებო გარემო და გარემოს დაცვა). II, III და IV კლასების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არ არის გაწერილი სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიმართ. სკოლას ჯერ არ აქვთ შექმნილი არცერთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა V და VI კლასის შესასწავლი სავალდებულო თემებისთვის, არცერთი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა V და VI კლასის რომელიმე კონტექსტ - მაგალითის მიმართ.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.3 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.*

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასების სისტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; სკოლაში დაწყებითი საფეხურის სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში იმოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი (V და VI კლასები) 10 - ქულიანი შეფასების სისტემა. **ინდიკატორი 2.2.2.4 შესაბამისობაშია**

5. სკოლამ წარმოადგინა „ა(ა)იპ ლენტეხის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ვერიფიკაციის მექანიზმი“, სადაც გაწერილია ვერიფიკაციის მიმართულებები და მექანიზმები. დოკუმენტით განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიზანი, ვინ შეიძლება იყოს ვერიფიკატორი, როგორ ხორციელდება ვერიფიკაციის პროცესი და რა რისკები შეიძლება დადგეს პროცესში. სკოლა გეგმავს ვერიფიკაცია განახორციელოს სამი მიმართულებით:

- შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია
- პროცესის ვერიფიკაცია
- შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია

**ინდიკატორი 2.2.2.5 შესაბამისობაშია**

6. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა იმ ვადით, რაც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. **ინდიკატორი 2.2.2.6 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/ კრიტერიუმის/ ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვერიფიკაციის დოკუმენტი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პედაგოგებთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში იქმნება თანამშრომლობითი გარემო. ითანამშრომლებენ, როგორც საგნობრივ კათედრებთან, ასევე სხვა კათედრების წარმომადგენლებთან და გაუზიარებენ ერთმანეთს იდეებს. პედაგოგები ერთმანეთს გაუზიარებენ საგაკვეთილო პროცესის დაკვირვების შედეგად მიღებულ მიგნებებს და ამის გათვალიწინებით იმუშავებენ კურიკულუმების დახვეწასა და განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.2.3.1 შესაბამისობაშია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლა გეგმავს, რომ სასწავლო პროცესი იყოს ორიენტირებული მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე. ამ მხრივ შესაბამისი საფეხურის კლასებში იგეგმება არსებული კომპლექსური დავალებების განვითარება, საინტერესო პროექტების დაგეგმვა-განხორციელება, სადამრიგებლო პროგრამების გაძლიერება და კათედრების კიდევ უფრო გააქტიურება. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლაში დაგეგმილი სასკოლო საზოგადოების გამოკითხვები, გაწეული სამუშაოს სისტემატიური ანალიზი. ხელი შეეწყობა მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების პროცესს. სასწავლო პროცესში იგეგმება გამოიყენონ დიფერენცირებული სწავლების მეთოდები და მიდგომები. სკოლა გეგმავს უზრუნველყოს მოსწავლეების ინტერესებზე მორგებულ და მათზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი 2.2.3.2 შესაბამისობაშია**

3. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კათედრის შიგნით მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ამაზე მეტყველებს მათ მიერ დაგეგმილი ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები, რომელზეც ისაუბრეს პედაგოგებმა. სასწავლო პროცესი დაეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად განახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან (მშობლებთან შეხვედრები), გაიზიარებს მათ უკუკავშირს და ექნება სიახლეების მაღალი მიმღებლობა. **ინდიკატორი 2.2.3.3 შესაბამისობაშია**

4. სკოლის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების ჩამონათვალში შედის:

- მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, მათი დაცვა ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან
- მოსწავლეებში ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა
- მოსწავლეებში ურთიერთპატივისცემის, სამართლიანობის, ეროვნული ღირებულებე-ბი-სა და მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევათა დაფასების ტრადიციების დამკვიდრება;
- ეფექტური, ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემო

შესაბამისად, ჩამოთვლილი პრიორიტეტების გათვალისწინება სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს პოზიტიურ სასკოლო კლიმატს: მოსწავლის მაღალ მორალურ ღირებულებებზე აქცენტირებას, აკადემიურ და პიროვნული, პოზიტიური, თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობას. სკოლაში პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. პედაგოგების მიერ დაგეგმილ სასკოლო აქტივობებში მოსწავლეებთან ერთად ჩაერთობა სკოლის ადმინისტრაცია. ამ მიმართულებით აქტივობების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეების, მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და მშობლების გამოცდილებას. **ინდიკატორი 2.2.3.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი
- ინტერვიუ სკოლის პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე იგეგმება კათედრებზე მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ - სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე- მშობლისა და მოსწავლის დონეზე. **ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. მათ გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ პედაგოგები ითანამშრომლებენ კლასის დამრგიგებლებთან, რაც აისახება ,,დამრიგებლის საათის”

რეფლექსიაში. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი დააკვირდება მასწავლებლთა საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), შეაფასებს და მისცემს განმავითარებელ უკუკავშირს. **ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია**

3. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი თვლიან მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. იგივე შეგვიძლია დავასკვნათ სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარიდან. სასწავლო პროცესის მონიტორინგი განხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დადგინდება მასწავლებლების საჭიროებები და აისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები გაიზიარებენ და გაითვალისწინებენ პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. **ინდიკატორი 2.3.1.3 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- საგნობრივი კურიკულუმები

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ჩაწერილი აქვს ქვეთავი “სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება”, რომელშიც გაწერილია პროცესის კვლევისა და შეფასების ეტაპები/მიმართულებები თუმცა, სკოლის მიერ მოწოდებულ მასალებზე და მასწავლებლებთან განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს სასწავლო პროცესის შეფასების ერთიანი გააზრებული სისტემა.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.2.1 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული*

*იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება.*

2. სკოლას კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიში ჩაწერილი აქვს პროცესის კვლევისა და შეფასების ეტაპები/მიმართულებები თუმცა, სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციით არ დასტურდება, რომ შეფასება განხორცილედება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.2.2 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების მრავალი კონტექსტის გამოყენება;*

3. სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას, გადმოგზავნილ დოკუმენტებზე დაყრდნობით არ დასტურდება, რომ შეფასებისას გამოყენებული იქნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.2.3 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;*

4. სკოლას მოსწავლის შეფასების მიხედვით გადმოგზავნილი აქვს მხოლოდ ერთი დოკუმენტი - „სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, მასში ჩაწერილი აქვს ქვეთავი “სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება”. თუმცა სკოლის მიერ მოწოდებულ შეფასების რუბრიკებსა და მასწავლებლებთან განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ვერ განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.2.4 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული*

*იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების განხორციელება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესისი მონიტორინგი და შეფასება
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელის თვითშეფასების ფორმა
- შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში ამჟამად არ გახლავთ წარმოდგენილი, მაგრამ სამომავლოდ აისახება სასკოლო საზოგადოების სასწავლო-აკადემიური პრიორიტეტები. კათედრის წევრები შეეცდებიან სწავლა-სწავლების პროცესში მიღებული გამოცდილება გამოიყენონ როგორც სასწავლო პროცესის, ისე საგნობრივი კურიკულუმების დასახვეწად და გასავითარებლად. სავარაუდოდ შეიმუშავებენ და შექმნიან კურიკულუმის მხარდამჭერ სარეკომენდაციო პაკეტსაც.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.4.1.1 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია სკოლამ შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;*

2. ვინაიდან, სკოლას არ ჰყავს მოსწავლეები ექსპერტები **ვერ შეაფასებენ ინდიკატორს 2.4.1.2** კერძოდ, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი**

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. სასკოლო კურიკულუმი

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი** (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)<br>საბაზო საფეხურის კურიკულუმი | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების გათვალისწინების შესაძლებლობას. ამის უზრუნველსაყოფად, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, სკოლა გამოიყენებს კონსულტაციებს მშობლებთან, შეხვედრებს პედაგოგებთან. ამავე მიზნით მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სკოლა მიმართავს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს. სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, ასევე სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები, გარდა ამისა აღწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესში პედაგოგთა პრაქტიკის გაზიარების პროცედურები, ასევე ის ამ დოკუმენტის თანახმად აპირებს უზრუნველყოს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება და რევიზია, რათა მომდევნო სასწავლო წელს სკოლამ წარმოადგინოს წინა წლის ანალიზის საფუძველზე გადამუშავებული კურიკულუმი, რომელიც სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებს უპასუხებს. **ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია**

2. სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები ასახულია კურიკულუმში, რომლებსაც კონსულტაციების შედეგად დაადგენს სკოლა. ასევე საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში მოხდება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება შესაბამისი თემებისა და რესურსების შეთავაზებით. აღნიშნული ქმედებები მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა აცნობიერებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას სასკოლო ცხოვრებაში და აპირებს მუშაობას ამ მიმართულებით და მათი ინტერესების გათვალისწინებას. **ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია**

3. კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების ჩართულობითაა შემუშავებული, რაც გამოიხატება სხვადასხვა აქტივობებით, კერძოდ საგნობრივ კათედრაზე ერთობლივი მუშაობით, მიღებული გამოცდილების გაზიარებით, მისი ანალიზით, კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავებით, შესაბამისი თემების, შუალედური მიზნებისა, თუ რესურსების შერჩევით, კათედრებზე ერთობლივი მუშაობით. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო

კურიკულუმის განვითარების მიზნით მოხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. **ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია**

4. მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებულია კურიკულუმი. დაწესებულება გეგმავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად მომავალშიც გამოიყენოს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება. მათ შორის აქვს მშობლებთან ურთიერთობის სხვადასხვა საკომუნიკაციო ფორმა, ეს ექნება როგორც სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ინდივიდუალური შეხვედრების გზით, სოციალური ქსელის საშუალებით, მშობლის ბარათებით და სხვ. **ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის თითქმის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები რომლებიც მეტწილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში მეტ - ნაკლებად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. კომპლექსურ დავალებებში მეტწილად გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. კურიკულუმები ძირითადად ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას შეძლებისდაგვარად გაითვალისწინეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი გრძელვადიანი მიზნები. სკოლამ ასევე წარმოადგინა მათ მიერ შემუშავებული შეფასების დოკუმენტები (განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები), რომლებიც მეტწილად კორელაციაშია კურიკულუმში მოწოდებულ საკითხებთან და გაწერილია სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია**

2 კურიკულუმები ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში მეტწილად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნების სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ ძირითადად გააზრებული აქვთ კომპლექსური დავალებისა და კომპლექსური ბუნების დავალებების მიმართება კონკრეტულ სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მიმართ, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს) და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი დაიგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო გარემო და დაგეგმილი კურიკულუმები მოსწავლეთა საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული. პედაგოგები სასწავლო პროცესში გამოიყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, გაითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებებს და შესაძლებლობებს. სკოლის მიერ შერჩეულია ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები, რაც მოსწავლის ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სსსმ მოსწავლეებისათვის გეგმავენ შეიმუშავონ ინდივიდუალური გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. **ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია**

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასება იწარმოება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებზე დაფუძნებით. მოსწავლეთა შედეგები შეფასდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. გასაუბრებაზე აღინიშნა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს), პედაგოგებს მეტ - ნაკლებად გააზრებული აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აგების პრინციპი. სკოლა გამოიყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. იგეგმება განმავითარებელი რუბრიკების შექმნა ყოველი კონტექსტ - მაგალითის მიმართ და განმასღვრელი რუბრიკის შექმნა საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად ყველა შესასწავლი თემებისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია**

5. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს) და საბაზო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე საბაზო საფეხურის ყველა სავალდებულო საგნის კურიკულუმები საბაზო საფეხურის მასწავლებლების ჩართულობით მიიღებს დასრულებულ სახეს. **ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუ საბაზო საფეხურის პედაგოგებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.ზოგიერთი საგნობრივი ექსპერტის მხრიდან ინდიკატორი შეფასდა დამაკმაყოფილებლად. მაგალითად, ესთეტიკის კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა - სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიეინტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
რაც შეეხება, *საზოგადოებრივ მეცნიერებებს, ქართულ ენასა და ლიტერატურას, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს,* მათი შეფასებით ინდიკატორი არ არის შესაბამისობასთან. სახელმწიფო ენის ექსპერტის შეფასებით, ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგებს უჭირთ და სრულყოფილად ვერ იაზრებენ კურიკულუმის ჩარჩო დოუმენტში კონტექსტ მაგალითებად შერჩეულ მხატვრული ტექსტების, თემების და დავალებების იდეების ურთიერთკავშირსა და დანიშნულებას სასწავლო პროცესში. თვითშეფასების კითხვარშიც შესაბამისი კომპონენტი, კერძოდ, „კურიკულუმის განხორციელება“ და მასთან დაკავშირებული სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების შესაფასებლად გამიზნული არცერთი ინდიკატორის არც განხილვა და არც ზოგადი ანალიზი არ გახლავთ წარმოდგენილი.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით პედაგოგებს არ აქვთ გააზრებული სასწავლო პროცესისადმი კომპლექსური მიდგომა, შესაბამისად წარმოდგენილი კურიკულუმები ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს) და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბუნებისმეტყველების პედაგოგებს პრაქტიკულად არ აქვთ გააზრებული სასწავლო პროცესისადმი კომპლექსური მიდგომა, შესაბამისად, 2023 – 2024 წლის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას.

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.1 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.***

2. საბაზო საფეხურზე კურიკულუმში ასახული თემები, კონტექსტმაგალითებად შერჩეული სავალდებულო მხატვრული ტექსტები და მათ ურთიერთშესაბამისობაზე ინტერვიურებისას, პედაგოგთა რეფლექსია არ იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კათედრას მართებულად ესმის მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშნელოვანი კომპონენტის არსი. პედაგოგები მართებულად ვერ იაზრებენ, სასწავლო პროცესში სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისათვის, ახალი ცოდნის შესაძენად - ამ საგანმანათლებლო პრინციპის დანიშნულებას. ასევე, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით პედაგოგებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას მართებულად არ ესმის მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშნელოვანი კომპონენტის არსი. პედაგოგებს არ აქვთ გააზრებული, თუ როგორ შეიძლება მოახდინონ ცოდნის აგება ეტაპობრივად ნაცნობი კონტექსტიდან. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს არ აქვთ გააზრებული მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშნელოვანი კომპონენტის არსი, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გაუჭირდებათ აქცენტის გაკეთება ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და მიღებული ინფორმაციის აქტიურ ცოდნად გარდაქმნის პროცესს.

*<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.2 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ ახალი ცოდნის კონსტრუირების განხორციელება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.</u>*

3. ექსპერტთა ნაწილის მხრიდან, ინდიკატორი დადებითადაა შეფასებული. მაგალითად, უცხოური ენების ექსპერტის შეფასებით შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტიანად. გარდა ამისა, წარმოდგენილი კურიკულუმი ითვალისწინებს ქვეცნება სტრატეგიის გააქტიურებას (კითხვის, მოსმენის, ლაპარაკი და წერის სტრატეგიები), რომლებზე მუშაობაც მოსწავლეს განუვითრებს უნარებს იცნობდეს და ირჩევდეს საჭირო სტრატეგიებს. სახელმწიფო ენის მიმართულებით, პედაგოგებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მოსწავლეთა სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ. ისინი ვერ ასახელებენ იმ კონკრეტულ სასწავლო სტრატეგიებს, რომლებიც უნდა მოერგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოცდილებას, რათა მათთვის უფრო ადვილი და კომფორტული გახდეს სწავლის პროცესის სოციო-ემოციური კუთხით მართვა. თუმცა, განსხვავებული მდგომარეობაა, საბუნებისმეტყველო მეცნიეებების მიმართულებით. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი მართალია „გეგმავენ“ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას, მაგრამ მათ მიერ არც ვიზიტის დროს და არც დამატებითი დოკუმენტაციის საშუალებით (მხოლოდ ფიზიკის პედაგოგმა გადმოაგზავნა დამატებითი დოკუმენტაციის საშუალებით VII, VIII და IX კლასში განსახორციელებლი კომპლექსური დავალებები) არ განხორციელდა კომპლექსური დავალებების პირობების წარმოდგენა, შესაბამისად, შეუძლებელია იმის განსაზღვრა/დადგენა/ვარაუდი, რომ პედაგოგების მიერ კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე.

*<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.3 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ სასწავლო პროცესში აქცენტი გააკეთოს სწავლის სწავლაზე</u>*

4. ზოგიერთ საგანში ინდიკატორი შეფასებულია, როგორც დაკმაყოფილებული. მაგალითად, მათემატიკაში სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის მიერ შესასრულებელი დავალებების პირობები (კომპლქსური დავალება) მოსწავლისგან

მოითხოვს, როგორც დეკლარაციული და პროცედურული ცოდნის დეკლარირებას, ასევე ფუნქციური ცოდნის დემონსტრირებას. შესაბამისად, სკოლა, მსგავსი დავალებების შეთავაზებით შეძლებს რომ სასწავლო პროცესი დააფუძნოს ცოდნის სამივე კატეგორიას. მასწავლებელთა გასაუბრებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული), რაც აისახება საგნობრივ პროგრამებში და კომპლექსურ დავალებებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის გამოყენებას. სახელმწიფო ენის მიმართულებით პედაგოგებს უჭირთ საგაკვეთილო პროცესში განსახორციელებული აქტივობების დანიშნულების სრულყოფილად გააზრება, მათი ფუნქციისა და დანიშნულების გაცნობიერება ცოდნის ამა თუ იმ კატეგორიისა და ზოგადად ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების პროცესში.

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.4 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).***

5.სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმასა და ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების საგანმანათლებლო პრინციპის, სასწავლო პროცესში გამოყენების შესახებ პედაგოგებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. მათ არ გააჩნიათ ამ პრინციპით სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს) და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სხვადასხვა საგანში მიღებული სხვადასხვა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებული გამოყენების შესახებ, რადგან არ გააჩიათ აღნიშნული პრინციპების გამოყენებით სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება.

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.5 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული***

*იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის ჩარჩო,
- კომპლექსური დავალებები,
- გასაუბრება მასწავლებლებთან

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ექსპერტთა ნაწილის მიერ, ინდიკატორი შეფასდა დამაკმაყოფილებლად, თუმცა სახელმწიფო ენის შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება, პედაგოგებს უჭირთ საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების მოსწავლეთა მიერ გათავისებისა და გაცნობიერებისათვის საჭირო მეთოდიკური მიდგომებისა და პრაქტიკული სასწავლო აქტივობების

დასახელება. ასევე, უცხო ენების შემთხვევაში, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში შუალედური და გრძელვადიანი მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილი იქნება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. მასწავლებლებს ეპიზოდურად სწორად აქვთ მითითებული საკითხები, ცნებები, ქვესაკითხები. საგნობრივი კურიკულუმი ნაწილობრივ ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმის ანალიზის მიხედვით, ერთი მხრივ, იკითხება უმეტეს მათგანში, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მიმართულებები, სამიზნე ცნებები, საკითხები. მეორე მხრივ, წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი ნაწილობრივ უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას, რადგან გვხვდება კურიკულუმის ჩარჩოებში არასრულყოფილად წარმოდგენილი სამიზნე ცნებებიც. სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) ყველა კლასის (VII, VIII, IX) კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც ნაწილობრივ გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად უნდა გასწორდეს, კერძოდ, ფიზიკის VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემა (ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები) მეორე ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებასთან „ფიზიკური პროცესი" არ არის განსაზღვრული შესაბამისი ქვეცნება. თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - ენერგია და ძალა დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; II თემა (თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა) თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - მატერია, ენერგია და ძალა დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; III თემის (ძალა და წნევა) თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება ენერგია და ფიზიკური პროცესი დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; ფიზიკის VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩო: II თემის (სითბური მოვლენები) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნების „მატერია" მიმართ განსაზღვრული ქვეცნებები დასაკორექტირებელია, სამიზნე ცნებასთან „ენერგია" შესაბამისი კერძო ქვეცნება არის მითითებული არასწორად, წერია მოლეკულების ქაოსურად მოძრაობის კინეტიკური და ურთიერთქმედების პოტენციური ენერგიადა უნდა ეწეროს

მოლეკულების ქაოსურად მოძრაობის კინეტიკური ენერგია, მოლეკულების ურთიერთქმედების პოტენციური ენერგია. მეორე ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსებში მითითებულია „სკოლის ლაბორატორი - ექსპერიმენტები“ და „ვირტუალური ლაბორატორია“ ელექტრონული მისამართების გარეშე. თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება - ძალა დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; ფიზიკის IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (თანაბარი და აჩქარებული მოძრაობა) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებასთან „მატერია“ არ არის განსაზღვრული შესაბამისი კერძო ქვეცნება, სამიზნე ცნებასთან „ფიზიკური პროცესი“ არ არის განსაზღვრული შესაბამისი კერძო ქვეცნება, ამავე საკითხთან არ არის მითითებული სახელმძღვანელო, როგორც სასწავლო რესურსი. მეორე ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებასთან „ფიზიკური პროცესი“ არ არის განსაზღვრული შესაბამისი ქვეცნება, სასწავლო რესურსებში მითითებულია „ვიდეორესურსი“ ელექტრონული მისამართის გარეშე. თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება - ენერგია დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; II თემის (სტატიკა და დინამიკა) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებასთან „მატერია“ არ არის განსაზღვრული შესაბამისი კერძო ქვეცნება. ბიოლოგიის VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო: სკოლის მიერ გადმოგზავნილ ბიოლოგიის VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილი შეიცავდა ხარვეზებს, რომელთა გამოსწორების მიზნით სკოლაში ვიზიტისას გასაუბრების დროს პედაგოგს მიეცა რეკომენდაციები. სკოლის მიერ გასწორებული ბიოლოგიის VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილი არ/ვერ გადმოიგზავნა, შესაბამისად, იმის დადგენა, რომ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, ვერ მოხერხდა. ბიოლოგიის VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (სიცოცხლის ორგანიზაციის დონეები) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით), ამავდროულად სასწავლო რესურსებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო - გვერდის გარეშე, „ინტერნეტ მასალები“ და „ტელესკოლის გაკვეთილები“ ელექტრონული მისამართების გარეშე და „ასოციაცია „ბიო“-ს მიერ მოწოდებული რესურსები.( ტესეტბი, პრეზენტაციები და ა.შ).გვ10---გვ19“ - ელექტრონული მისამართის გარეშე. II თემის (საყრდენ - მამოძრავებელი სისტემა) პირველ ძირითად საკითხთან

სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით), ამავდროულად სასწავლო რესურსებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო - გვერდის გარეშე, „ინტერნეტ მასალები“ და „ტელესკოლის გაკვეთილები“ ელექტრონული მისამართების გარეშე და „ასოციაცია „ბიო“-ს მიერ მოწოდებული რესურსები.( ტესეტბი, პრეზენტაციები და ა.შ).“ - ელექტრონული მისმართის გარეშე. თემა არის მითითებული არასწორად, წერია ადამიანის საყრდენ - მამოძრავებელი სისტემა და უნდა ეწეროს საყრდენ - მამოძრავებელი სისტემა (სტანდარტის მიხედვით). III თემის (ნივთიერების მიმოცვლა და ტრანსპორტი) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით), ამავდროულად სასწავლო რესურსებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო - გვერდის გარეშე, „ინტერნეტ მასალები“ და „ტელესკოლის გაკვეთილები“ ელექტრონული მისამართების გარეშე და „ასოციაცია „ბიო“-ს მიერ მოწოდებული რესურსები.( ტესეტბი, პრეზენტაციები და ა.შ).“ - ელექტრონული მისმართის გარეშე. მეორე ძირითად საკითხთან განსაზღვრულია კომპლექსური დავალების იდეა „მოსწავლეები შექნიან საინფორმაციო სახის პოსტერს“, რომელიც ასევე გაუგებარი და დასაკორექტირებელია, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება მხოლოდ საინფორმაციო სახის პოსტერის შექმნა, თუმცა რატომ უნდა შექმნას იგი, არ არის გაწერილი, ამავე საკითხთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით), ამავდროულად სასწავლო რესურსებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო - გვერდის გარეშე, „ინტერნეტ მასალები“ და „ტელესკოლის გაკვეთილები“ ელექტრონული მისამართების გარეშე და „ასოციაცია „ბიო“-ს მიერ მოწოდებული რესურსები.( ტესეტბი, პრეზენტაციები და ა.შ).გვ“ - ელექტრონული მისმართის გარეშე. თემა არის მითითებული არასწორად, წერია ნივთიერებათა მიმოცვლა და ტრანსპორტი და უნდა ეწეროს ნივთიერების მიმოცვლა და ტრანსპორტი (სტანდარტის მიხედვით). მესამე და მეოთხე ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა

და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით), ამავდროულად სასწავლო რესურსებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო - გვერდის გარეშე, „ინტერნეტ მასალები" და „ტელესკოლის გაკვეთილები" ელექტრონული მისამართების გარეშე და „ასოციაცია „ბიო"-ს მიერ მოწოდებული რესურსები.( ტესეტბი, პრეზენტაციები და ა.შ)." - ელექტრონული მისმართის გარეშე. თემა არის მითითებული არასწორად, წერია ნივთიერებათა მიმოცვლა და ტრანსპორტი და უნდა ეწეროს ნივთიერების მიმოცვლა და ტრანსპორტი (სტანდარტის მიხედვით). IV თემის (ჯანმრთელობა და მავნე ჩვევები) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით). ბიოლოგიის IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (ადამიანის მარეგულირებელი სისტემები) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით), ამავდროულად სასწავლო რესურსებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო - ავტორისა და გვერდის გარეშე, „ინტერნეტ მასალები" და „ტელესკოლის გაკვეთილები" ელექტრონული მისამართების გარეშე და „ასოციაცია „ბიო"-ს მიერ მოწოდებული რესურსები.( ტესეტბი, პრეზენტაციები და ა.შ).გვ" - ელექტრონული მისმართის გარეშე. II თემის (ადამიანის შეგრძნების ორგანოები) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით), ამავდროულად სასწავლო რესურსებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო - ავტორისა და გვერდის გარეშე, „ინტერნეტ მასალები" და „ტელესკოლის გაკვეთილები" ელექტრონული მისამართების გარეშე და „ასოციაცია „ბიო"-ს მიერ მოწოდებული რესურსები.( ტესეტბი, პრეზენტაციები და ა.შ)." - ელექტრონული მისმართის გარეშე. თემა არის მითითებული არასწორად, წერია შეგრძნების ორგანოები და უნდა ეწეროს ადამიანის შეგრძნების ორგანოები (სტანდარტის მიხედვით). III თემის (ადამიანის რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა)

პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით), ამავდროულად სასწავლო რესურსებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო - ავტორისა და გვერდის გარეშე, „ინტერნეტ მასალები“ და „ტელესკოლის გაკვეთილები“ ელექტრონული მისამართების გარეშე და „ასოციაცია „ბიო“-ს მიერ მოწოდებული რესურსები.( ტესეტბი, პრეზენტაციები და ა.შ).“ - ელექტრონული მისმართის გარეშე. თემა არის მითითებული არასწორად, წერია რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა და უნდა ეწეროს ადამიანის რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა (სტანდარტის მიხედვით). IV თემის (უჯრედის მეტაბოლიზმი) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით), ამავდროულად სასწავლო რესურსებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო - ავტორისა და გვერდის გარეშე, „ინტერნეტ მასალები“ და „ტელესკოლის გაკვეთილები“ ელექტრონული მისამართების გარეშე და „ასოციაცია „ბიო“-ს მიერ მოწოდებული რესურსები.( ტესეტბი, პრეზენტაციები და ა.შ).“ - ელექტრონული მისმართის გარეშე. თემა არის მითითებული არასწორად, წერია უჯრედული მეტაბოლიზმი და უნდა ეწეროს უჯრედის მეტაბოლიზმი (სტანდარტის მიხედვით). V თემის (სახეობა და პოპულაცია) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით), ამავდროულად სასწავლო რესურსებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო - ავტორისა და გვერდის გარეშე, „ინტერნეტ მასალები“ და „ტელესკოლის გაკვეთილები“ ელექტრონული მისამართების გარეშე და „ასოციაცია „ბიო“-ს მიერ მოწოდებული რესურსები.( ტესეტბი, პრეზენტაციები და ა.შ).გვ“ - ელექტრონული მისმართის გარეშე. ქიმიის VIII კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (წყალი, ხსნარები) მეორე ძირითად საკითხთან მითითებული სამიზნე ცნებების „ნივთიერება“ და „ფიზიკური და ქიმიური მოვლენები“ მიმართ განსაზღვრული ქვეცნებები დასაკორექტირებელია. III თემის (ელემენტების ორგანიზაციის პრინციპი) კურიკულუმის ჩარჩოში თემა არის

მითითებული არასწორად, წერია ელემენტის ორგანიზების პრინციპი და უნდა ეწეროს ელემენტების ორგანიზაციის პრინციპი (სტანდარტის მიხედვით). ქიმიის IX კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (ნივთიერებათა მრავალფეროვნება) პირველ ძირითად საკითხთან მითითებული სამიზნე ცნების „ფიზიკური და ქიმიური მოვლენები" მიმართ განსაზღვრული ქვეცნება ვერ უზრუნველყოფს მოვემული ცნების მკვიდრი წარმოდგენების სრულად დამუშავებას, ამავე საკითხთან სასწავლო რესურსში მითითებულია „მულტიმედია რესურსები" ელექტრონული მისამართების გარეშე. აღსანიშნავია, რომ ამ თემის ფარგლებში არსებული საკითხთა ჯგუფი (1.10 ნივთიერების რაოდენობის საზომი ერთეული – მოლი. მოლური მასა; 1.11 მოლისა და მოლური მასის პრაქტიკული გამოყენება; 1.12 ავოგადროს კანონი. აირების მოლური მოცულობა; 1.13 ავოგადროს კანონის პრაქტიკული გამოყენება. აირის ფარდობითი სიმკვრივე; 1.14 ნივთიერებათა მოლური თანაფარდობა ქიმიურ რეაქციათა ტოლობებში; 1.15 გაანგარიშებები ქიმიურ რეაქციათა ტოლობების მიხედვით; 1.16 მალიმიტირებელი და ჭარბი რეაგენტი) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში საერთოდ არ იძებნება. II თემის (ნავთობი და მისი პროდუქტები; ბუნებრივი აირი) პირველ ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსში მითითებულია „მულტიმედია რესურსები" ელექტრონული მისამართების გარეშე. აღსანიშნავია, რომ ამ თემის ფარგლებში არსებული საკითხთა ჯგუფი (§2-7 უჯერი ნახშირწყალბადების ქიმიური თვისებები; §2-8 პოლიმერები; §2-9 ბუნებრივი პოლიმერები; §2-13 გარემოს ქიმიური დაბინძურება; §2 -14 ქიმიური დაბინძურებით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები) კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში საერთოდ არ იძებნება. სკოლის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის გზით გადმოგზავნილია ის კომპლექსური დავალებები, რომლის მიხედვითაც იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს ფიზიკაში (VII, VIII და IX კლასები). ფიზიკის VIII კლასის პირველ სავალდებულო სასწავლო თემაში „მექანიკური მოვლენები" მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში „წყლის ბორბალი" (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით მუშავდება მხოლოდ ერთი სამიზნე ცნების - ენერგია მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია ოთხი სამიზნე ცნება - მატერია, ენერგია, ძალა და ფიზიკური პროცესი). ფიზიკის IX კლასის პირველ სავალდებულო სასწავლო თემაში „თანაბარი და აჩქარებული მოძრაობა" მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში

„საბურავი“ (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის მეორე ძირითადი საკითხი) მითითებული სამიზნე ცნებები თანხვედრაში არ მოდის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში მითითებულ სამიზნე ცნებებთან (კომპლექსური დავალების მიხედვით მუშავდება ორი სამიზნე ცნების - მატერია და ფიზიკური პროცესი მკვიდრი წარმოდგენები, ხოლო კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია სამი სამიზნე ცნება - მატერია, ძალა და ფიზიკური პროცესი). ფიზიკის IX კლასის მეორე სავალდებულო სასწავლო თემაში „სტატიკა და დინამიკა“ მოწოდებულ კომპლექსურ დავალებაში „ჩაფხუტი“ (კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით არის პირველი ძირითადი საკითხი) საერთოდ არ არის მითითებული ის სამიზნე ცნებები, რომლის დამუშავებასაც ემსახურება იგი (მითითებულია მხოლოდ მკვიდრი წარმოდგენების ციფრები).

***<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.1 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;</u>***

2. საგნობრივი ექსპერტების მხრიდან ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად. მხოლოდ სახელმწიფო ენის მიმართულებით პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლებს უჭირთ თემატური ერთეულებისა და გასაანალიზებელი პრობლემების შერჩევა. უძნელდებათ იმის განსაზღვრა, თუ როგორ, რა კუთხით, რომელი სასწავლო მიდგომებითა და მეთოდიკით უნდა მოერგოს ცალკეულ შემთვევებში მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს. კონკრეტული თემა, საგნობრივი საკითხი, განსახორციელებელი აქტივობები, ესა თუ ის კონტექსტმაგალითი.

***<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.2 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს საგნობრივი კონტექსტების ისე შემუშავება, რომ ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.</u>***

3. პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ემსახურება მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებასა და მხარდაჭერას ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვლიწინებით. საუბრისას აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში პედაგოგებს მორგებული ექნებათ ფასილიტატორის როლი, შესაბამისი რეკომენდაციის გაზიარებით მოსწავლეებს სწორ მიმართულებას მისცემენ, რომ შეძლონ გარკვეული კომპონენტების განვითარება. თუმცა, მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყელო კათედრის პედაგოგებმა მეტ - ნაკლებად იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, თუმცა არ აქვთ შექმნილი არც განმავითარებელი, არც განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (დამატებითი დოკუმენტაციის გზით გადმოგზავნილია ქიმიის VIII კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელშიც გაწერილია ფიზიკის VIII კლასის თემა - ნივთიერებების მიმოცვლა და ტრანსპორტი. აღნიშნულ შეფასების რუბრიკას აუცილებლად მივიღებდი მხედველობაში, მაგრამ VIII კლასში ასეთი სახელწოდების სასწავლო სავალდებულო თემა ფიზიკის საბაზო საფხურის სტანდარტით არ არსებობს; დამატებითი დოკუმენტაციის გზით ასევე გადმოგზავნილია ფაილი „ფიზიკა - შეფასების - სქემები - 4“, რომელიც არ არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დამატებითი დოკუმენტაციის გზით ასევე გადმოგზავნილია ფაილი სახელწოდებით „მე - 9 კლასი - განმავითარებელი შეფასების რუბრიკა - ბიოლოგია, რომელშიც არ არის მითითებული, თუ რომელი შესასწავლი სავალდებული თემის რომელი კონტექსტ - მაგალითის მიმართ არის შექმნილი).

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.3 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.***

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. სკოლა გეგმავს მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების დანერგვას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები უფრო სიღრმისეულად და პასუხისმგებლიანად გაიაზრებენ შეფასების კრიტერიუმებს და გაუჩნდებათ თანამონაწილეობის, სამართლიანობის განცდა. სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა ჩართულობითა და მათი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით შეფასების რუბრიკების შემუშავებამ უფრო სისტემური და ხშირი ხასიათი მიიღოს, რუბრიკების შემუშავებისას კოლეგების და მშობლების აზრი იქნას გათვალისწინებული. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი, რამდენად უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა მოსწავლეთა მიმართ. **ინდიკატორი 2.2.2.4 შესაბამისობაშია**

5. მოცემული დოკუმენტაციის შესაბამისად, სადაც სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექნიზმი, მიმდინარე სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს იხელმძღვანელოს მისით, რომლის მიხედვით განხორციელდება სკოლის შედეგების ანალიზი და რეფლექსია. მასწავლებლები გამოიყენებენ შეფასების შედეგების ანალიზს მომდენო პროცესების დასაგეგმად. **ინდიკატორი 2.2.2.5 შესაბამისობაშია**

6. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა იმ ვადით, რაც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. **ინდიკატორი 2.2.2.6 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვერიფიკაციის დოკუმენტი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პედაგოგებთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში იქმნება თანამშრომლობითი გარემო. ითანამშრომლებენ, როგორც საგნობრივ კათედრებთან, ასევე სხვა კათედრების წარმომადგენლებთან და გაუზიარებენ ერთმანეთს იდეებს. პედაგოგები ერთმანეთს გაუზიარებენ საგაკვეთილო პროცესის დაკვირვების შედეგად მიღებულ მიგნებებს და ამის გათვალიწინებით იმუშავებენ კურიკულუმების დახვეწასა და განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.2.3.1 შესაბამისობაშია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლა გეგმავს, სასწავლო პროცესი იყოს ორიენტირებული მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე. ამ მხრივ შესაბამისი საფეხურის კლასებში იგეგმება არსებული კომპლექსური დავალებების განვითარება, საინტერესო პროექტების დაგეგმვა-განხორციელება, სადამრიგებლო პროგრამების გაძლიერება და კათედრების კიდევ უფრო გააქტიურება.  აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლაში დაგეგმილი სასკოლო საზოგადოების გამოკითხვები, გაწეული სამუშაოს სისტემატიური ანალიზი. ხელი შეეწყობა მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების პროცესს. სასწავლო პროცესში იგეგმება გამოიყენონ დიფერენცირებული სწავლების მეთოდები და მიდგომები. სკოლა გეგმავს უზრუნველყოს მოსწავლეების ინტერესებზე მორგებულ და მათზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი 2.2.3.2 შესაბამისობაშია**

3. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ესთეტიკის კათედრის მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ამაზე მეტყველებს მათ მიერ დაგეგმილი ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები, რომელზეც ისაუბრეს მასწავლებლებმა. სასწავლო პროცესი დაეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად განახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან (მშობლებთან შეხვედრები), გაიზიარებს მათ უკუკავშირს და ექნება სიახლეების მაღალი მიმღებლობა. **ინდიკატორი 2.2.3.3 შესაბამისობაშია**

4. სკოლის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების ჩამონათვალში შედის:

- მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, მათი დაცვა ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან
- მოსწავლეებში ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა
- მოსწავლეებში ურთიერთპატივისცემის, სამართლიანობის, ეროვნული ღირებულებე-ბი-სა და მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევათა დაფასების ტრადიციების დამკვიდრება;
- ეფექტური, ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემო

შესაბამისად, ჩამოთვლილი პრიორიტეტების გათვალისწინება სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს პოზიტიურ სასკოლო კლიმატს: მოსწავლის მაღალ მორალურ ღირებულებებზე აქცენტირებას, აკადემიურ და პიროვნული, პოზიტიური, თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობას. სკოლაში პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. პედაგოგების მიერ დაგეგმილ სასკოლო აქტივობებში მოსწავლეებთან ერთად ჩაერთობა სკოლის ადმინისტრაცია. ამ მიმართულებით აქტივობების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეების, მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და მშობლების გამოცდილებას. **ინდიკატორი 2.2.3.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი
- ინტერვიუ სკოლის პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე იგეგმება კათედრებზე მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ - სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე - მშობლისა და მოსწავლის დონეზე. **ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. მათ გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ პედაგოგები ითანამშრომლებენ კლასის დამრიგებლებთან, რაც აისახება ,,დამრიგებლის საათის" რეფლექსიაში. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი დააკვირდება მასწავლებლთა საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), შეაფასებს და მისცემს განმავითარებელ უკუკავშირს. **ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია**

3. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი თვლიან მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. იგივე შეგვიძლია დავასკვნათ სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარიდან. სასწავლო პროცესის მონიტორინგი განხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დადგინდება მასწავლებლების საჭიროებები და აისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები გაიზიარებენ და გაითვალისწინებენ პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. **ინდიკატორი 2.3.1.3 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- საგნობრივი კურიკულუმები

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიში ჩაწერილი აქვს ქვეთავი "სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება", რომელშიც გაწერილია პროცესის კვლევისა და შეფასების ეტაპები/მიმართულებები თუმცა, სკოლის მიერ მოწოდებულ მასალებზე და მასწავლებლებთან განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს სასწავლო პროცესის შეფასების ერთიანი გააზრებული სისტემა.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.2.1 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება.*

2. სკოლას კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიში ჩაწერილი აქვს პროცესის კვლევისა და შეფასების ეტაპები/მიმართულებები თუმცა, სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციით არ დასტურდება, რომ შეფასება განხორცილედება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.2.2 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების მრავალი კონტექსტის გამოყენება;*

3. სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას, გადმოგზავნილ დოკუმენტებზე დაყრდნობით არ დასტურდება, რომ შეფასებისას გამოყენებული იქნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.2.3 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;*

4. სკოლას მოსწავლის შეფასების მიხედვით გადმოგზავნილი აქვს მხოლოდ ერთი დოკუმენტი - „სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, მასში ჩაწერილი აქვს ქვეთავი “სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება”. თუმცა სკოლის მიერ მოწოდებულ შეფასების რუბრიკებსა და მასწავლებლებთან განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ვერ განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.2.4 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების გახორციელება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესისი მონიტორინგი და შეფასება
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელის თვითშეფასების ფორმა
- შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში ამჟამად არ გახლავთ წარმოდგენილი, მაგრამ სამომავლოდ აისახება სასკოლო საზოგადოების სასწავლო-აკადემიური პრიორიტეტები. კათედრის წევრები შეეცდებიან სწავლა-სწავლების პროცესში მიღებული გამოცდილება გამოიყენონ როგორც სასწავლო პროცესის, ისე საგნობრივი კურიკულუმების დასახვეწად და გასავითარებლად. სავარაუდოდ შეიმუშავებენ და შექმნიან კურიკულუმის მხარდამჭერ სარეკომენდაციო პაკეტსაც.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.4.1.1 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია სკოლამ შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;*

2. ვინაიდან, სკოლას არ ჰყავს მოსწავლეები ექსპერტები **ვერ შეაფასებენ ინდიკატორს 2.4.1.2** კერძოდ, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (ასახე კურიკულუმის დასახელება)<br>საშუალო საფეხურის კურიკულუმი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.1. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების გათვალისწინების შესაძლებლობას. ამის უზრუნველსაყოფად, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად, სკოლა გამოიყენებს კონსულტაციებს მშობლებთან, შეხვედრებს პედაგოგებთან. ამავე მიზნით მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სკოლა მიმართავს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს. სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, ასევე სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმები, გარდა ამისა აღწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესში პედაგოგთა პრაქტიკის გაზიარების პროცედურები, ასევე ის ამ დოკუმენტის თანახმად აპირებს უზრუნველყოს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება და რევიზია, რათა მომდევნო სასწავლო წელს სკოლამ წარმოადგინოს წინა წლის ანალიზის საფუძველზე გადამუშავებული კურიკულუმი, რომელიც სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებს უპასუხებს. **ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია**

2. სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები ასახულია კურიკულუმში, რომლებსაც კონსულტაციების შედეგად დაადგენს სკოლა. ასევე საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში მოხდება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება შესაბამისი თემებისა და რესურსების შეთავაზებით. აღნიშნული ქმედებები მეტყველებს იმაზე, რომ სკოლა

აცნობიერებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას სასკოლო ცხოვრებაში და აპირებს მუშაობას ამ მიმართულებით და მათი ინტერესების გათვალისწინებას. **ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია**

3. კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების ჩართულობითაა შემუშავებული, რაც გამოიხატება სხვადასხვა აქტივობებით, კერძოდ საგნობრივ კათედრაზე ერთობლივი მუშაობით, მიღებული გამოცდილების გაზიარებით, მისი ანალიზით, კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავებით, შესაბამისი თემების, შუალედური მიზნებისა, თუ რესურსების შერჩევით, კათედრებზე ერთობლივი მუშაობით. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიზნით მოხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. **ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია**

4. მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარებულია კურიკულუმი. დაწესებულება გეგმავს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად მომავალშიც გამოიყენოს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება. მათ შორის აქვს მშობლებთან ურთიერთობის სხვადასხვა საკომუნიკაციო ფორმა, ეს ექნება როგორც სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ისე ინდივიდუალური შეხვედრების გზით, სოციალური ქსელის საშუალებით, მშობლის ბარათებით და სხვ. **ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
**5.** დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის თითქმის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, რომლებიც მეტწილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში მეტ - ნაკლებად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. კომპლექსურ დავალებებში მეტწილად გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. კურიკულუმები ძირითადად ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას შეძლებისდაგვარად გაითვალისწინეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი გრძელვადიანი მიზნები. სკოლამ ასევე წარმოადგინა მათ მიერ შემუშავებული შეფასების დოკუმენტები (განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები), რომლებიც მეტწილად კორელაციაშია კურიკულუმში მოწოდებულ საკითხებთან და გაწერილი სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **ინდიკატორი 2.1.2.1 შესაბამისობაშია**

2. კურიკულუმები ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში მეტწილად სწორად არის განსაზღვრული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნების სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ ძირითადად გააზრებული აქვთ კომპლექსური დავალებისა და კომპლექსური ბუნების დავალებების მიმართება კონკრეტულ სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მიმართ, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი 2.1.2.2 შესაბამისობაშია**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს) და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი დაიგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო გარემო და დაგეგმილი კურიკულუმები მოსწავლეთა საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული. პედაგოგები სასწავლო პროცესში გამოიყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, გაითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებებს და შესაძლებლობებს. სკოლის მიერ შერჩეულია ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები, რაც მოსწავლის ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სსსმ მოსწავლეებისათვის

გეგმავენ შეიმუშავონ ინდივიდუალური გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებები და ინდივიდუალური შესაძლებლობები. **ინდიკატორი 2.1.2.3 შესაბამისობაშია**

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასება იწარმოება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებზე დაფუძნებით. მოსწავლეთა შედეგები შეფასდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით. გასაუბრებაზე აღინიშნა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს), პედაგოგებს მეტ - ნაკლებად გააზრებული აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკის აგების პრინციპი. სკოლა გამოიყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. იგეგმება განმავითარებელი რუბრიკების შექმნა ყოველი კონტექსტ - მაგალითის მიმართ და განმასღვრელი რუბრიკის შექმნა საშუალო საფეხურის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად ყველა შესასწავლი თემებისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.4 შესაბამისობაშია.**

5. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს) და საშუალო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე საბაზო საფეხურის ყველა სავალდებულო საგნის კურიკულუმები საბაზო საფეხურის მასწავლებლების ჩართულობით მიიღებს დასრულებულ სახეს. **ინდიკატორი 2.1.2.5 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინტერვიუ საშუალო საფეხურის პედაგოგებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ზოგიერთი საგნობრივი ექსპერტის მხრიდან ინდიკატორი შეფასდა დამაკმაყოფილბლად. მაგალითად, ესთეტიკის კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა - სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში, კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს მისცემს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიეინტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

რაც შეეხება, *საზოგადოებრივ მეცნიერებებს, ქართულ ენასა და ლიტერატურას, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს,* მათი შეფასებით ინდიკატორი არ არის შესაბამისობაში. სახელმწიფო ენის მიმართულებით, ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგებს უჭირთ და სრულყოფილად ვერ იაზრებენ კურიკულუმის ჩარჩო დოუმენტში კონტექსტ მაგალითებად შერჩეულ მხატვრული ტექსტების, თემების და დავალებების იდეების ურთიერთკავშირსა და დანიშნულებას სასწავლო პროცესში. თვითშეფასების კითხვარშიც შესაბამისი კომპონენტი,

კერძოდ, „კურიკულუმის განხორციელება“ და მასთან დაკავშირებული სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების შესაფასებლად გამიზნული არცერთი ინდიკატორის არც განხილვა და არც ზოგადი ანალიზი არ გახლავთ წარმოდგენილი.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით პედაგოგებს არ აქვთ გააზრებული სასწავლო პროცესისადმი კომპლექსური მიდგომა, შესაბამისად წარმოდგენილი კურიკულუმები ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს) და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბუნებისმეტყველების პედაგოგებს პრაქტიკულად არ აქვთ გააზრებული სასწავლო პროცესისადმი კომპლექსური მიდგომა, შესაბამისად, 2023 – 2024 წლის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები ვერ უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას.

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.1 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.***

2. საშუალო საფეხურზე კურიკულუმში ასახული თემები, კონტექსტმაგალითებად შერჩეული სავალდებულო მხატვრული ტექსტები და მათ ურთიერთშესაბამისობაზე ინტერვიურებისას პედაგოგთა რეფლექსია არ იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კათედრას მართებულად ესმის მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშნელოვანი კომპონენტის არსი. პედაგოგები მართებულად ვერ იაზრებენ, სასწავლო პროცესში სამიზნე ცოდნის კონსტრუირებისათვის, ახალი ცოდნის შესაძენად - ამ საგანმანათლებლო პრინციპის დანიშნულებას. ასევე, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით პედაგოგებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას მართებულად არ ესმის მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც სასწავლო პროცესის მნიშნელოვანი კომპონენტის არსი. პედაგოგებს არ აქვთ გააზრებული, თუ როგორ შეიძლება მოახდინონ ცოდნის აგება ეტაპობრივად ნაცნობი კონტექსტიდან. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს არ აქვთ გააზრებული მოსწავლეთა წინარე გამოცდილების, როგორც

სასწავლო პროცესის მნიშნელოვანი კომპონენტის არსი, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გაუჭირდებათ აქცენტის გაკეთება ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და მიღებული ინფორმაციის აქტიურ ცოდნად გარდაქმნის პროცესს.

***<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.2 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ ახალი ცოდნის კონსტრუირების განხორციელება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.</u>***

3. საგნობრივი ექსპერტების ნაწილის მხრიდან ინდიკატორი შეფასდა დამაკმაყოფილებლად. მაგალითად, უცხოური ენების მიმართულებით შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებილც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ წარმართონ სწავლის პროცესი ეფექტიანად. გარდა ამისა, წარმოდგენილი კურიკულუმი ითვალისწინებს ქვეცნება სტრატეგიის გააქტიურებას (კითხვის, მოსმენის, ლაპარაკი და წერის სტრატეგიები), რომლებზე მუშაობაც მოსწავლეს განუვითარებს უნარებს იცნობდეს და ირჩევდეს საჭირო სტრატეგიებს. თუმცა, სახელმწიფო ენის მიმართულებით, პედაგოგებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მოსწავლეთა სწავლის სტილისა და სტრატეგიების შესახებ. ისინი ვერ ასახელებენ იმ კონკრეტულ სასწავლო სტრატეგიებს, რომლებიც უნდა მოერგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ გამოცდილებას, რათა მათთვის უფრო ადვილი და კომფორტული გახდეს სწავლის პროცესის სოციო-ემოციური კუთხით მართვა. ასევე, საბუნებისმეტყველო მიმართულებით მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი მართალია „გეგმავენ“ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას, მაგრამ მათ მიერ არც ვიზიტის დროს და არც დამატებითი დოკუმენტაციის საშუალებით (მხოლოდ ფიზიკის პედაგოგმა გადმოაგზავნა დამატებითი დოკუმენტაციის საშუალებით განსახორციელებლი კომპლექსური დავალებები) არ განხორციელდა კომპლექსური დავალებების პირობების წარმოდგენა, შესაბამისად, შეუძლებელია იმის განსაზღვრა/დადგენა/ვარაუდი, რომ პედაგოგების მიერ კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე.

***<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.3 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული</u>***

*იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ სასწავლო პროცესში აქცენტი გააკეთოს სწავლის სწავლაზე*

4. ზოგიერთ საგანში ინდიკატორი შეფასებულია, როგორც დაკმაყოფილებული. მაგალითად, მათემატიკაში სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის მიერ შესასრულებელი დავალებების პირობები (კომპლქსური დავალება) მოსწავლისგან მოითხოვს, როგორც დეკლარაციული და პროცედურული ცოდნის დეკლარირებას, ასევე ფუნქციური ცოდნის დემონსტრირებას. შესაბამისად, სკოლა, მსგავსი დავალებების შეთავაზებით შეძლებს რომ სასწავლო პროცესი დააფუძნოს ცოდნის სამივე კატეგორიას. მასწავლებელთა გასაუბრებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული), რაც აისახება საგნობრივ პროგრამებში და კომპლექსურ დავალებებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის გამოყენებას. სახელმწიფო ენის მიმართულებით, პედაგოგებს უჭირთ საგაკვეთილო პროცესში განსახორციელებული აქტივობების დანიშნულების სრულყოფილად გააზრება, მათი ფუნქციისა და დანიშნულების გაცნობიერება ცოდნის ამა თუ იმ კატეგორიისა და ზოგადად, ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების პროცესში.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.4 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ორიენტირება ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).*

5.სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმასა და ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების საგანმანათლებლო პრინციპის, სასწავლო პროცესში გამოყენების შესახებ პედაგოგებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. მათ არ გააჩნიათ ამ პრინციპით სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა (რადგან ორგანიზაცია დღეისათვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ ფუნქციონირებს) და ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სხვადასხვა საგანში მიღებული სხვადასხვა ცოდნის

ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებული გამოყენების შესახებ, რადგან არ გააჩნიათ აღნიშნული პრინციპების გამოყენებით სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება.

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.1.5 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის ჩარჩო,
- კომპლექსური დავალებები,
- გასაუბრება მასწავლებლებთან

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. ექსპერტთა ნაწილის მიერ, ინდიკატორი შეფასდა დამაკმაყოფილებლად, თუმცა სახელმწიფო ენის შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ კათედრის მიერ წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება, პედაგოგებს უჭირთ საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების მოსწავლეთა მიერ გათავისებისა და გაცნობიერებისათვის საჭირო მეთოდიკური მიდგომებისა და პრაქტიკული სასწავლო აქტივობების დასახელება. ასევე, უცხო ენების შემთხვევაში, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოში შუალედური და გრძელვადიანი მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილი იქნება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) ყველა კლასის (X, XI) კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც ნაწილობრივ გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის მთელი რიგი ხარვეზები, რომლებიც აუცილებლად უნდა გასწორდეს, კერძოდ, ფიზიკის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო: II თემის (მუდმივი დენის კანონები) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნების „ენერგია“ მიმართ არ არის განსაზღვრული ქვეცნება, თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნება - ფიზიკური პროცესი დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; ფიზიკის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო: სკოლის მიერ ფიზიკის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილი არ/ვერ გადმოიგზავნა, შესაბამისად, იმის დადგენა, რომ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, ვერ მოხერხდა. ბიოლოგიის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (უჯრედის ბიოლოგია) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით), ამავდროულად სასწავლო რესურსებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო - ავტორისა და გვერდის გარეშე, „ინტერნეტ მასალები“ და „ტელესკოლის გაკვეთილები“ ელექტრონული მისამართების გარეშე და „ასოციაცია „ბიო“-ს მიერ მოწოდებული რესურსები.( ტესეტბი, პრეზენტაციები და ა.შ).- ელექტრონული მისმართის გარეშე, ამავდროულად, თემასთან არის მითითებული თავი1. II თემის (უჯრედის

გამრავლება) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით), ამავდროულად სასწავლო რესურსებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო - ავტორისა და გვერდის გარეშე, „ინტერნეტ მასალები“ და „ტელესკოლის გაკვეთილები“ ელექტრონული მისამართების გარეშე და „ასოციაცია „ბიო“-ს მიერ მოწოდებული რესურსები.( ტესეტბი, პრეზენტაციები და ა.შ).- ელექტრონული მისმართის გარეშე, ამავდროულად, თემასთან არის მითითებული თავი 2. ბიოლოგიის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემა (გენეტიკა) მეორე, მესამე, მეოთხე და მეექვსე ძირითად საკითხთან არ არის განსაზღვრული შესაბამისი სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ძირითად საკითხთან სასწავლო რესურსში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო - ავროტის გარეშე. ყველა ძირითად საკითხთან სამიზნე ცნებები მითითებული არის არასწორად, წერია სტრუქტურა და ფუნქცია და უნდა ეწეროს სტრუქტურა, ფუნქცია (სტანდარტის მიხედვით), წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით), II თემის (ევოლუცია) პირველ ძირითად საკითხთან სამიზნე ცნება მითითებული არის არასწორად, წერია სასიცოცხლო თვისებები და უნდა ეწეროს სასიცოცხლო თვისება (სტანდარტის მიხედვით), ამავე საკითხთან განსაზღვრულია მაგალითები შედარებისთვის „სხვადასხვა თეორიების შედარება“ და გაუგებარია, რომელი სხვადასხვა თეორიები უნდა გამოიყენოს პედაგოგმა შედარებისთვის. მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ძირითად საკითხთან არ არის განსაზღვრული შესაბამისი სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, ამავე საკითხებთან სასწავლო რესურსში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო - ავტორის გარეშე. თემის ფარგლებში არ მუშავდება ოთხივე სამიზნე ცნება, კერძოდ, სამიზნე ცნებები - სტრუქტურა, ფუნქცია და ჯანმრთელობა და დაავადება დამუშავების მიღმა არის დარჩენილი; ქიმიის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო: I თემის (ატომის აღნაგობა და ქიმიური ბმები) მეორე ძირითად საკითხთან მითითებული სამიზნე ცნებების „ნივთიერება“ „ქიმიური ბმა“ და „ფიზიკური და ქიმიური მოვლენები“ მიმართ განსაზღვრული ქვეცნებები დასაკორექტირებელია. II თემის (ქიმიური კინეტიკა) მეორე ძირითად საკითხთან მითითებული სამიზნე ცნებების „ნივთიერება“ „ქიმიური ბმა“ და „ფიზიკური და ქიმიური მოვლენები“ მიმართ განსაზღვრული ქვეცნებები

დასაკორექტირებელია. ამავე საკითხებთან სასწავლო რესურსებში მითითებულია „მულტი-მედია რესურსები“ ელექტრონული მისამართის გარეშე. ქიმიის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო: სკოლის მიერ ქიმიის XI კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილი არ/ვერ გადმოიგზავნა, შესაბამისად, იმის დადგენა, რომ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზნებთან მიმართება, ვერ მოხერხდა. სკოლის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის გზით გადმოგზავნილია ის კომპლექსური დავალებები, რომლის მიხედვითაც იმუშავებენ 2023 – 2024 სასწავლო წელს ფიზიკაში (X კლასი).

***სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.1 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;***

2. საგნობრივი ექსპერტების მხრიდან ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად. მხოლოდ სახელმწიფო ენის მიმართულებით პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგებს უჭირთ თემატური ერთეულებისა და გასაანალიზებელი პრობლემების შერჩევა. უძნელდებათ იმის განსაზღვრა, თუ როგორ, რა კუთხით, რომელი სასწავლო მიდგომებითა და მეთოდიკით უნდა მოერგოს ცალკეულ შემთვევებში მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარების დონეს. კონკრეტული თემა, საგნობრივი საკითხი, განსახორციელებელი აქტივობები, ესა თუ ის კონტექსტმაგალითი. საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლება, სწორედ რომ, პირველ რიგში ემსახურება მოსწალვეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალური აზროვნების ჩამოყალიბება-განვითარებას, 2023-2024 წ. სასკოლო სასწავლო გეგმა მომავალი წლის ძირითად ამოცანებში განსაზღვრავს ჯანსაღი სულიერი განვითარების მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებას, ქრისტიანული, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებთან ზიარებას.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.2 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს საგნობრივი კონტექსტების ისე შემუშავება, რომ ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.*

3. პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ემსახურება მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებასა და მხარდაჭერას ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვლიწინებით. საუბრისას აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესში პედაგოგებს მორგებული ექნებათ ფასილიტატორის როლი, შესაბამისი რეკომენდაციის გაზიარებით მოსწავლეებს სწორ მიმართულებას მისცემენ, რომ შეძლონ გარკვეული კომპონენტების განვითარება. თუმცა, მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყელო კათედრის პედაგოგებმა მეტ - ნაკლებად იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, თუმცა არ აქვთ შექმნილი არც განმავითარებელი, არც განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.3 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების სისტემის ორიენტირება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.*

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. სკოლა გეგმავს მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების დანერგვას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები უფრო სიღრმისეულად და პასუხისმგებლიანად გაიაზრებენ შეფასების კრიტერიუმებს და გაუჩნდებათ თანამონაწილეობის, სამართლიანობის განცდა. სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა ჩართულობითა და მათი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით შეფასების რუბრიკების შემუშავებამ უფრო სისტემური და ხშირი ხასიათი მიიღოს, რუბრიკების შემუშავებისას კოლეგების და მშობლების აზრი იქნას გათვალისწინებული. მოსწავლეთათვის ცნობილი იქნება: თუ რაში ფასდებიან, როგორ ფასდებიან, რამდენად მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი, რამდენად უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა მოსწავლეთა მიმართ. **ინდიკატორი 2.2.2.4 შესაბამისობაშია**

5. მოცემული დოკუმენტაციის შესაბამისად, სადაც სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექნიზმი, მიმდინარე სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს იხელმძღვანელოს მისით, რომლის მიხედვით განხორციელდება სკოლის

შედეგების ანალიზი და რეფლექსია. მასწავლებლები გამოიყენებენ შეფასების შედეგების ანალიზს მომდენო პროცესების დასაგეგმად. **ინდიკატორი 2.2.2.5 შესაბამისობაში**

6. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილი იქნება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა იმ ვადით, რაც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. **ინდიკატორი 2.2.2.6 შესაბამისობაში**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვერიფიკაციის დოკუმენტი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პედაგოგებთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში იქმნება თანამშრომლობითი გარემო. ითანამშრომლებენ, როგორც საგნობრივ კათედრებთან, ასევე სხვა კათედრების წარმომადგენლებთან და გაუზიარებენ ერთმანეთს იდეებს. პედაგოგები ერთმანეთს გაუზიარებენ საგაკვეთილო პროცესის დაკვირვების შედეგად მიღებულ მიგნებებს და ამის გათვალიწინებით იმუშავებენ კურიკულუმების დახვეწასა და განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.2.3.1 შესაბამისობაში**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლა გეგმავს, რომ სასწავლო პროცესი იყოს ორიენტირებული მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის

ზრდაზე. ამ მხრივ შესაბამისი საფეხურის კლასებში იგეგმება არსებული კომპლექსური დავალებების განვითარება, საინტერესო პროექტების დაგეგმვა-განხორციელება, სადამრიგებლო პროგრამების გაძლიერება და კათედრების კიდევ უფრო გააქტიურება. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლაში დაგეგმილი სასკოლო საზოგადოების გამოკითხვები, გაწეული სამუშაოს სისტემატიური ანალიზი. ხელი შეეწყობა მოსწავლის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების პროცესს. სასწავლო პროცესში იგეგმება გამოიყენონ დიფერენცირებული სწავლების მეთოდები და მიდგომები. სკოლა გეგმავს უზრუნველყოს მოსწავლეების ინტერესებზე მორგებულ და მათზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი 2.2.3.2 შესაბამისობაშია**

3. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ესთეტიკის კათედრის მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ამაზე მეტყველებს მათ მიერ დაგეგმილი ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები, რომელზეც ისაუბრეს მასწავლებლებმა. სასწავლო პროცესი დაეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზე, სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად განახორციელებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან (მშობლებთან შეხვედრები), გაიზიარებს მათ უკუკავშირს და ექნება სიახლეების მაღალი მიმღებლობა. **ინდიკატორი 2.2.3.3 შესაბამისობაშია**

4. სკოლის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების ჩამონათვალში შედის:

- მოსწავლეთა ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, მათი დაცვა ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან
- მოსწავლეებში ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა
- მოსწავლეებში ურთიერთპატივისცემის, სამართლიანობის, ეროვნული ღირებულებე-ბი-სა და მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევათა დაფასების ტრადიციების დამკვიდრება;
- ეფექტური, ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემო

შესაბამისად, ჩამოთვლილი პრიორიტეტების გათვალისწინება სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს პოზიტიურ სასკოლო კლიმატს: მოსწავლის მაღალ მორალურ ღირებულებებზე აქცენტირებას, აკადემიურ და პიროვნული, პოზიტიური, თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობას. სკოლაში პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. პედაგოგების მიერ დაგეგმილ სასკოლო აქტივობებში მოსწავლეებთან ერთად ჩაერთობა სკოლის ადმინისტრაცია. ამ მიმართულებით აქტივობების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეების, მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და მშობლების გამოცდილებას. **ინდიკატორი 2.2.3.4 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი
- ინტერვიუ სკოლის პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე იგეგმება კათედრებზე მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება

ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ - სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე- მშობლისა და მოსწავლის დონეზე. **ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. მათ გათვითცნობიერებული აქვთ რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ პედაგოგები ითანამშრომლებენ კლასის დამრგიგებლებთან რაც აისახება ,,დამრიგებლის საათის" რეფლექსიაში. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი დააკვირდება მასწავლებლთა საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), შეაფასებს და მისცემს განმავითარებელ უკუკავშირს. **ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია**

3. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ისინი თვლიან მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. იგივე შეგვიძლია დავასკვნათ სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარიდან. სასწავლო პროცესის მონიტორინგი განხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რა დროსაც დადგინდება მასწავლებლების საჭიროებები და აისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები გაიზიარებენ და გაითვალისწინებენ პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. **ინდიკატორი 2.3.1.3 შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- საგნობრივი კურიკულუმები

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიში ჩაწერილი აქვს ქვეთავი "სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება", რომელშიც გაწერილია პროცესის კვლევისა და შეფასების ეტაპები/მიმართულებები თუმცა, სკოლის მიერ მოწოდებულ მასალებზე და მასწავლებლებთან განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს სასწავლო პროცესის შეფასების ერთიანი გააზრებული სისტემა.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.2.1 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება.*

2. სკოლას კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიში ჩაწერილი აქვს პროცესის კვლევისა და შეფასების ეტაპები/მიმართულებები თუმცა, სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციით არ დასტურდება, რომ შეფასება განხორცილედება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.2.2 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების მრავალი კონტექსტის გამოყენება;*

3. სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას, გადმოგზავნილ დოკუმენტებზე დაყრდნობით არ დასტურდება, რომ შეფასებისას გამოყენებული იქნება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.2.3 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;*

4. სკოლას მოსწავლის შეფასების მიხედვით გადმოგზავნილი აქვს მხოლოდ ერთი დოკუმენტი - „სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, მასში ჩაწერილი აქვს ქვეთავი “სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება”. თუმცა სკოლის მიერ მოწოდებულ შეფასების რუბრიკებსა და მასწავლებლებთან განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ვერ განხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

*სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.3.2.4 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს შეფასების გახორციელება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესისი მონიტორინგი და შეფასება
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელის თვითშეფასების ფორმა
- შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლებთან განხორციელებული ინტერვიუები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში ამჟამად არ გახლავთ წარმოდგენილი, მაგრამ სამომავლოდ აისახება სასკოლო საზოგადოების სასწავლო-აკადემიური პრიორიტეტები. კათედრის წევრები შეეცდებიან სწავლა-სწავლების პროცესში მიღებული გამოცდილება გამოიყენონ როგორც სასწავლო პროცესის, ისე საგნობრივი კურიკულუმების დასახვეწად და გასავითარებლად. სავარაუდოდ შეიმუშავებენ და შექმნიან კურიკულუმის მხარდამჭერ სარეკომენდაციო პაკეტსაც.

*<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.4.1.1 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 13.11.2023 – 15.01.2024წწ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია სკოლამ შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;</u>*

2. ვინაიდან, სკოლას არ ჰყავს მოსწავლეები ექსპერტები ვერ შეაფასებენ **ინდიკატორს 2.4.1.2** კერძოდ, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

24.11.2023
თარიღი